

ຂ່າຍຕົວລັກ



ສະເວດນາຄອ

1927

№ 10

საუნარი ჩვენი უურნალის მკითხველუბან.

ჩვენი უურნალი „საბავშო“, ანუ „პიონერული“ უურნალია, ეს კი იმას ნიშავს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ყველა პიონერი და ბავშები. მაგრამ იმისათვის, რომ უურნალში მონაწილეობა მიიღო, საჭიროა ყოველთვის (რეგულიარულად) კითხულობდე მას. ეს პირველი და ძირითადი ვალდებულებაა თვითოვლი ბავშისათვის.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ბავშები თვალყურს არ აღეცნებენ უურნალს. შაგალითად, ერთ რომელიმე ნომერს ძლიერ გულდასმით წაიკითხავნ, ხოლო შემდეგ სამ ნომერს გამოსტოვებენ, არ წაიკითხავნ. ასე არ უნდა ხდებოდეს. ეს დაუშვებელი მოვლენაა. განაარ იცით, რომ ჩვენი უურნალი გვაძლევს ტოდიათა და შემთხვევათა მთელ ჯაჭვს, რომელშიც ერთი რგოლი მეორესთან მჭიდროდ არის შეკავშირებული? თუ გამოაკელი ერთი რგოლი, მაშინ მთელი ჯაჭვი წყდება. ავილოთ, მაგალითად, პოლიტიკური შემთხვევები. დღევანდელ ნომერში გვაცნობებენ, რომ რევოლუციონურმა ჯარებმა იიღეს შანხაი, ან კიდევ, რომ ჩან-კა-შიმ ულალატა რევოლუციონურ მთავრობას. მაგრამ ვისაც არ წაუკითხავს წინა ნომრები, ის ვერ გაიგებს, თუ რა შეიმუშავებოდა აქვს შანხაის აღებას, ან ვინ არის ჩან-კა-ში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უურნალის კითხვა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. მასში ხშირად გვხვდება, გაუგებარი სიტყვები. თუ გამოტოვე გაუგებარი სიტყვა — ეს ნიშავს იმას, რომ უკვე ველარ გაიგებ მთელი წინადაღების ან წერილის აზრის. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა გვქონდეს სიტყვარი, სადაც ახსნილი იქნება ის სიტყვა, რაც შენთვის გაუ-

გებარია, ანდა უნდა ჰქითხა მცოდნე ვინმეს, რომ აგიხსნას, თუ რას ნიშავს ეს სიტყვა.

უურნალის რეგულიარული კითხვა შესაძლებლობას გაძლევს იგრეთვე ოვალური აღევნო იმას, თუ რა საკითხებია მიმდინარე ხანაში საყურადღებო. ამის შესახებ სწერს თვით რედაქტიაც. ამგვარად, როდესაც უურნალში იწყება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მსჯელობა ან მისი გაშუქება, მაშინ შენ უკვე შესაძლებლობა გაქვს დასწერო სწორედ ამის შესახებ, თუმცა, რასაცირველია, არც სხვა საკითხებს დაივიწყებ.

საჭიროა უურნალში სწერო მისი (უურნალის) ნაკლის შესახებ, საჭიროა შეიკრიბოთ ერთად ჯგუფში, რგოლში, კოლექტივში და იმსჯელოთ უურნალის შესახებ, გამოარკვიოთ მისი ნაკლი, გაითვალისწინოთ, თუ რა ესაჭიროება კიდევ უურნალს და სხვა. საჭიროა ყველაფერი ეს შენიშვნის სახით მოათავსოთ უურნალშივე, — შენს მეგობარში.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვით შენიშვნის ხარისხსაც. უკვე არა ერთხელ იყო დასწერილი იმის შესახებ, რომ არიან ისეთი ბავშები, რომლებიც სწერენ დაუსრულებლად და სწერენ ყველაფრის შესახებ. როდესაც იმათ ასეთ „დაუსრულებელ“ წერილებს ან შენიშვნებს არ ათავსებენ, მაშინ ისინი რედაქტიაში აგზავნიან მუქარის წერილებს, ანდა მარკის ფულს თხოვულობენ.

ჩვენი უურნალის მკითხველებთან კიდევ ბევრი საკითხის შესახებ არის საჭირო საუბარი, მაგრამ მათ შესახებ სხვა დროს მავილაპარაკებთ. აქ კი საბოლოოდ კიდევ გავიმეორებთ, რომ ყველაფრი ის, რაც არის გამოთქმული ან საუბარში, დაკვირვებით უნდა წაიკითხოს თვითოვლმა ბავშორმა და კარგად უნდა შეითვისოს, თუკი საზოგადოებრივი მუშაობის წარმოებას ფიქრობს.

შ ი ნ ა ს რ ს ტ:

1. ლენინის დროშის ქვეშ.	1	11. ექსკურსიები და გაფრენები — ლ-სი.	20
2. პიონერ მოედანი — საზაფხულო კლუბი — ლ-ის .	2	12. როგორ ჩატარდა ბავშთა საერთაშორისო კვირული ქ. ტფილისში.	20
3. პატარა ხო — ს. აუსლენდერის.	3	13. ჩვენი ცხოვრება	21
4. ბალუკა — მ. ენსტოვილის	7	14. რა ხდება ჩინეთში?	22
5. სიმღერა — ლექსი — არნო ონელის	8	15. მიიჩინეთ ფრინველები — მანის.	23
6. გაეცი მამა — ტიხონოვის	9	16. ბავშთა შემოქმედება	24
7. პიონერ-მუშაკთა თათბირი — ნ. ორაგველიძის .	12	17. მეცნიერება და ტეხნიკა	"
8. საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანები — ტანის	14	18. საუბარი ჩვენი უურნალის მკითხველებთან (გარეკანის მეორე გვერდზე)	
9. ჩვენი ძმები მსოფლიოში	16	19. გამოიცანით (გარეკანის მესამე გვერდზე)	
10. როგორ უნდა მოიცეს პიონერი, თუ მას სურს ჯანმრთელი იყოს — ექ. მ. მდებრიშვილის .	18		



329.153(05)

3-47.

130

შუშათა კლასის საქმისათვის იყავ გრანტი საქართველო

გიორგი

1927

30 მაისი

განათლების სახსრო კომისარიაფის სოციალური აღმისამართ-
თავის და სამართლის მ. კ. რ. ცენტრალური მიწოდების (სა. ა. ლ.
კომისამართის ცენტრალი) მემკვიდრეობისათვის

წელიწადი II

№ 10

ლენინის დროშის ქვემ

სამი წლის წინათ ბავშთა კომუნისტურმა ორ-
განიზაციამ თავის დროშაზე საერთაშორისო მუშათა
კლასის დიდი ბელადის — ამხ. ლენინის სახელი და-
აწერა.

სამი წლის წინათ,
1924 წლის 23 მაისს,
მოსკოვის პიონერე-
ბის ათასეულმა რაზ-
მებმა დახარეს თავი-
ანთი დროშები ილი-
ჩის მავზოლეის წინა-
შე. აქვე იყვნენ ამხა-
ნაგები: სტალინი,
ბუხარინი, რიკოვი,
კულინინი და პარტი-
ის სხვა ბელადები,
ვლადიმერ ილიჩის სა-
უკეთესო მიმღევრე-
ბი. ისინი გამოაგზავ-
ნა კომპარტიის მე-XIII
ყრილობამ პაონერთა
აღლუმის მისაღებად.



დიადი ბრძოლებისათვის იყავით მზად, პროლეტართა
ბავშებო, მშრომელთა ბავშებო!

თქვენ წილად გხედებათ უხელ-
მძღვანელოთ უდიდეს არმიას შრო-
მის განთავისუფლებისათვის ბრძო-
ლაში და აგურით აგურზე აშენოთ
ის შენობა, რომელიც დაიწყო უფ-
როსმა თაობამ.

თქვენ შეგხედებათ მონიშვილეობის
მიღება იმ ბრძოლაში, რომელიც
უფრო დიდი იქნება, ვიდრე ის
ბრძოლები, რომელიც გადაიხადა
უფროსმა თაობამ.

შეიძლება, თქვენ მოესწროთ იმ
დროს, როდესაც ჩვენი წითელი
დროშა ამაყად იფრიალებს ყველ-
გან, მთელ მსოფლიოში.

ამ დიადი ამოცანებისათვის, ამ
დიადი ბრძოლებისათვის, ჩვენო
შემცველო ძალავ, ჩვენო სიამა-
ყველ, ჩვენო იმედო — იყავი მზად!

(ამ. ბუხარინის სიტყვიდან
აღლუმზე).

ამ. სტალინი და ამ. ბუხარინი 1924 წ. 23 მაისს პიონერთა აღლუმზე.

მავზოლეის თავიდან გაისმა მოხუცებულის,
ჩვენი პარტიის ძველი მებრძოლის ფელიქს კონის
სიტყვები, რომელშიაც ის ნორჩი მებრძოლებს უმარ-
ტავდა, თუ რას ავალებდა მათ ლენინის სახელში-
დების მიღება. ფ. კონის მიერ წარმოთქმულ საფიცარ
სიტყვებს პასუხს აძლევდა ათიათასი ნორჩი წკრია-
ლი ხმა მთელი წითელი მოედნიდან.

ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენი პიონერ-
ორგანიზაცია ათიათასი ბავშიდან ორ მილიონამდე
ავიდა. მალე ლალად აჭრიალდა წითელი ყელ.

სახელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის ყველა ქალაქში და სოფელში. მუშათა და
გლეხთა ბავშები მთელი თავისი გულით მოილტვიან
პიონერ-ორგანიზაციისაკენ. აქა — მათი იმედი, აქა —

მათთვის გზა ბრწყინ-
ვალე მომავალი კო-
მუნიზმისაკენ.

დე, ამ დღეს, დიად
წლისთვის, თვითე-
ულ პიონერს ახსოვ-
დეს, რომ მან წითე-
ლი ყელსახვევი გა-
იკეთა სწავლისა-
თვის, შრომისათვის
და ბრძოლისათვის.

მტკიცედ უნდა
იცოდეს თვითეულმა
პიონერმა, რომ ბავშ-
თა ახალი ჩიგები
უნდა ჩავაბათ ჩვენს
ორგანიზაციაში, ყო-
ველნაირად ხელი

უნდა შეეუწყოთ მუშათა და გლეხთა კავშირის
განმტკიცებას და დაეცემაროთ სოფლის ბავშებს.

დე, ნათლად დაინახოს თვითეულმა პიონერმა
თავისი გზა: პიონერ — ლენინელი, ლენინური კომ-
კავშირის გზით, უნდა გადავიდეს ლენინის სა-
ხელოვან პარტიაში — საკავშირო კომუნისტურ
პარტიაში.

ავწიოთ ლენინის დროშა, გავწიოთ მედგრად
ლენინის გზით. ამ დროშით, ამ გზით ჩვენ გავი-
მარჯვებთ მთელ მსოფლიოში.



პიონერ-მოედანი—საზაფხულო კლუბი.

მაისი მიწურა. უკვე ყოველი ჩვენგანი გრძნობს, რომ საზაფხულო პიონერული მუშაობის დრო დადგა, ახლა უკვე დიდხანს უნდა ვიყოთ სუფთა პერზე, ცის ქვეშ, გავაცხოველოთ ჩვენი საქმიანობა, შემოვკრიბოთ ჩვენს ირგვლივ უბინაო და შეუკავშირებელი ბავშები.

აქ მთავარი როლი ეკუთვნის პიონერ-მოედანს, რომელიც ყოველ კოლექტივს უნდა ჰქონდეს. ის იქნება პიონერთა საზაფხულო კლუბი. აუცილებელია ამ მხრით დიდი მუშაობის ჩატარება.

ყოველი ნორჩი პიონერი, ყოველი ნორჩი ლენინელი უნდა აწარმოებდეს პიონერულ მუშაობას თავისი ეზოს, თავისი ქუჩის და უბნის ბავშებს შორის. ყველა ჩვენი დღესასწაულის ჩატარებაში შეუკავშირებელი ბავშებიც ფართოდ უნდა ჩავაბათ. რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა შევაჩეროთ პრაქტიკული საქმიანობა წარმოებაში (ქალაქებში) და სასოფლო მეურნეობაში (სოფლებში), უნდა ჩავატაროთ სასარგებლო ექსკურსიები და გაფრენები, ვიშრომოთ ბოსტნებსა და ბალებში.

მთელი მუშაობა ისე უნდა იქნეს ჩატარებული, რომ ბავშებმა დაღიალვა არ იგრძნონ.

ბევრმა ბავშმა არ იცის, თუ რა არის პიონერ-მოედანი, ამის ცოდნა კი აუცილებელია. ზაფხულობით თითქმის მთელი პიონერ-მუშაობა უნდა იქნეს სწორედ ამ პიონერ-მოედანზე ჩატარებული, მან უნდა გასწიოს პიონერ-კლუბის მაგიერობა.

რა არის პიონერ-მოედანი? ეს არის საზამთრო კლუბის მახლობლად ან გვერდზე (კარგი იქნებოდა მუშაობა ბალში) მოწყობილი მოედანი, სადაც ერთი ან რამდენიმე კოლექტივი აწარმოებს მასიურ მუშაობას.

მოედნების მოწყობისათვის პიონერების მიერ ახლავე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები, მით უმეტეს, რომ ყოველი მოედანი ამა თუ იმ უბნის ბავშების ცენტრი იქნება.

უპირველეს ყოველისა, ამორჩეულ უნდა იქნეს ბალაზიანი მშრალი იდეილი; იქ უნდა იყოს იგრეთვე ჩეები, რომ სიცხეში ბავშებმა თავი შეაფარონ. ადგილი საქმიან დიდი უნდა იყოს, რომ შესაძლო გახდეს სხვადასხვაგვარი ფართო მასიური თამაშობის მოწყობა. მოედანზე უნდა იყოს სათამაშო, საექ-

სურსიო და სამუშაო იარაღები. საჭიროა აქვე მოწყობილ იქნეს დაფა განცხადებებისათვის, დაფა საგულისხმიერო პოლიტიკური ამბებისათვის, კედლის გაზეთი და კითხვა-პასუხის ყუთი. საჭიროა ბიბლიოთეკის მოედანზე გამოტანაც; გაკეთებულ უნდა იქნეს აგრეთვე ლოზუნგები მიწაზე—ბალაზებისა და ყვავილებისაგან.

კოლექტივი მარელ თავის საქმიანობას აქვე, მახლობლად უნდა აწარმოებდეს. მუშაობა სხვაგვარად უნდა მიმდინარეობდეს, ვიდრე ზამთარში.

იქ, სადაც ეს აუცილებელია, ყოველდღე ინიუნება სამორიგოდ რგოლი, რომელიც, წესრიგზე და სისუფთავეზე ზრუნვის გარდა, შეუკავშირებელ ბავშებს შორის აწარმოებს მუშაობას; ეს მუშაობა მდგომარეობს სხვადასხვაგვარი თამაშობის მოწყობაში, საუბრების ჩატარებაში, ექსკურსიებისა და კამპანიებისათვის მზადებაში, უურნალ-გაზეთების კითხვაში და სხვ. ამის გარდა, რგოლებს აქვთ პრაქტიკული სამუშაო (ბალები და ბოსტნები). თუ მოედანი რამდენიმე კოლექტივისაა, მაშინ ისინი ინაწილებენ ერთმანეთში მოედანზე მუშაობის დროს.

ამ ჩვეულებრივი საქმიანობის გარდა დროგამოშვებით შეიძლება ჩატარდეს მასიური დღე. ამ დღეს მარელი კოლექტივი აწარმოებს თავისუფალ მუშაობას შეუკავშირებელ ბავშებთან ერთად. შეკრებებზე არაპიონერებიც უნდა დაშვებულ იქნან შეერთებული თამაშობისათვის, ანდა საქმიანობისათვის. საექსკურსიო და გაფრენებზე მზადება უნდა ტარდებოდეს როგორც პიონერთა კრებებზე, ისე მასიურ დღეებში.

კედლის გაზეთის გამოცემის საქმე საზაფხულო კლუბში ისე უნდა დაყენდეს, რომ ყველა ბავშმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში. მოედნებზე წარმოებულმა მთელმა ჩვენმა მუშაობაში უნდა დაუკახლოვოს შეუკავშირებელი ბავშები პიონერების საზაფხულო კლუბს, უნდა ჩააბას ისინი კოლექტიურ მუშაობაში, პიონერული სულისკვეთებით გაფლენილ ცხოვრებაში.

მთელი პიონერ-მუშაობა—მოედნებზე!

ყურადღება ჩვენს საზაფხულო კლუბს—პიონერ-მოედანს!



პ ა ტ ა რ ა ხ მ.

როდესაც პატარა ხო ძალს მიეცემოდა, ის კუველთვის ხედავდა ერთსადაიმავე ბრინჯის მინდორს, შორეულ სამშობლო ქოხს, დარღისა და მუშაობისაგან გაყვითლებულ დედას, დაქანცულს, მაგ ჩამ ალერსიანად გაღიმებულ მამას, ძმებს და დებს. ზოგჯერ მას ესიზმრებოდა, რომ უახლოვდება დედა, ეფერება ნაზად და უცაცუნებს ხელს. მაშინ ხო ცრემლებმორეული იღვიძებდა.

ესიზმრებოდა მას სხვა სურათიც: მუხლმოდრეული მავა ემთხვევა მიწას, ეფრიკება ქალაქიდან ჩამოსულ ვაჭარს; რომ არ აქვს ფული ვალის გადასახდელად. ვაჭარი მხოლოდ თავის აბრეშუმის ხალათს აშრიალებს. ის არ უსმენს და არც კი უყურებს მამას. ბოლოს ეუბნევა: „გაყიდე შვილი და გადაიხდი ვალს“. ხო ვერ ხვდება ვაჭარის საშინელ სიტყვებს. მთელი ღამე მას ესმის დედის ოხვრა, იკრუჩხება და მუშტისოდენა ხდება. ღილით მამამ ზურგზე შეისვა ხო და ისინი ღიღხანს, ღიღხანს მიღიოდენ ქალაქში. ჭრელი ქუჩების დანახვაზე ხო გამხიარულდა. ყველაფერი ინცვიფრებს მას. დუქანში, მაღალ მავიდაზე ვაჭარი გრძელ ქალალდს სწერს და შემდეგ საჩქაროდ მამას უკითხავს. დამწუხებული მამა აიგა აქნევს. ხო თვალდცეცებული მისჩერებია ლურჯ აბრეშუმზე ნაქარგ ვეშაპებს, მან არ იცის, რომ ეს ქალალდი — კონტრაქტია, რომლითაც მამა თავის შვილს, ხოს, სამუდამოდ უტოვებს ვაჭარს. ახლაც კი, როდესაც ხო ამ საშინელ სიზმარს ხედივს, მას ეღვიძება, ფხაჭნის ფრჩხილებით ლოგინს, იკრაპუნებს კბილებს და უძლურად ჰკუმშავს მუშტებს.

ულმობელი იყო ვაჭარი. მან პატარა ხო მოხებულ და გამჭრიას მოსამსახურედ აქცია. ვაჭრისგან ის მოხვდა ახლანდელ თავის პატრონთან, გამოჩენილ ინგლისელ კაპიტანთან, რომელსაც პარსისაგან ლოკები გალურჯებული აქვს. გრძელკილა კაპიტანმა ისე იცის შემოხედვა, რომ პატარა ხოს ფეხები უცაცუნებს, თუმცა მარტო ხო არ არ არის ამ დღეში. კაპიტანს ბევრი მხედარი ჰყავს. ისინი ყველანი გაჭიმული და გაჭვავებული სდგანან მრისხანე კაპიტანის წინ. საქმარისია კაპიტანის უბრალო ნიშანი — და ისინი მზად არიან თავი ანაცვალონ.

ხშირად ეზაში ჩინელების მთელი გროვა იკრიბება. ისინი ევეფრებიან, ჩივიან, ფეხ ქვეშ ეგებიან, კაპიტანი კი აწეაპუნებს წკეპლას ყვითელ ჩექმებზე და თითოთ ანიშნებს მხედრებს გარეკონ ხალხი ეზოდან.

გამოჩენილი მანდარინებიც კი აჩერებინებენ კარებთან თავიანთ ტახტრევანს და თავდახრილი შედიან ეზოში. შემდეგ, კაპიტანთან დალაპარაკებისას, ისინი დაბლა უკრავენ თავს, სათნოებით ილიმებიან და მრისხანე თვალებში შეჰყურებენ. კაპიტანი მანდარინებსაც კი არ უჩენებს პირს. ის მათ მხოლოდ უბრალებს.

ღილიღანვე ფეხზე პატარა ხო. ის უმზადებს თავის ბატონს თბილ სუნელოვან წყალს, ასუფთავებს მის ჩიბუხს, უკრალებს ჩექმებს, შეაქვს ფინჯნით გამხმარი ვარდის ჩაი. ის მზად არის ყოველ წამს შეასრულოს კაპიტანის ახალი ბრძანება.



მუხლმოდრეკილი მამა ემთხვევა მიწას.

დღეს საღამოს კაპიტანს სტუმრები ჰყავს. ყველანი გამოჩენილი ინგლისელი და ფრანგი კაპიტენებია. მრავალ მოსამსახურეს ნაირ-ჩაირი საჭმელი შემოაქვს. რა გინდა, რომ იქ არ არის: მერცხლის კვერცხის წვენი, ზაჟი თაფლით, ქათმის გული, ღვეზელი დარიჩინის ყვავილებით და ბევრი სხვა ტკბილეული. რა გაუმაძლარი არიან სტუმრები! ისივი სქამენ, სვამენ დაუსრულებლად, ანადგურებენ უამრავ ხილს, ტკბილ ღვეზელს და სხვ. ხოს უნებლიერ გაახსენდა დედისგან გაგონილი ზღაპარი გაუმაძლარ სვავებზე, რომელნიც სქამენ სოფლებს, ქალაქებს, პროვინციებს, მთელ ქვეყნებს.

„ისინი შთანთქავენ მთელ ჩინეთს“, ფიქრობდა პატარა ხო და სულ ფაციუსუით ექნარებოდა მოსამსახურებს.

სტუმრები მხიარულობენ. ისინი ხმამაღლა ტრაბახობენ. მასპინძელიც, მრისხანე კაპიტანიც კი ილიმება და ბრჭყვიალა ოქროს კბილებს აჩენს.

იქნებ ისინი მართლა ადამიანები კი არ არიან, არამედ საშინელი სვავები? ისინი ტრაბახობენ ერთმანეთთან ამ ვეებერთელა ქვეყანაში შექნილი სიმღიდრის შესახებ, — იმ ქვეყანაში, რომელსაც არ შეუძლია თავი დაიცვას.

ისინი სიცილით ლაპარაკობენ, თუ როგორ შესძლეს, მათი სიტყვით მშიშარა, მორჩილი და უჭირუ ჩინელების მოტყუება და დაფრთხობა.

ხოს უკვე ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მისი სახე არ თრთის. ის თვალს არ აშორებს ბატონს, რომ მყისვე მიხვდეს და შეასრულოს მისი ბრძანება.

სტუმრები გვიან იშლებიან. ხო და მოსამსახურები ლამაზებით აცილებენ მათ მდინარეების, საღაც ელოდება მათ ლამაზი, აბრეშუმგადაფარებული გრძელი და უცნაური ნისკარტიანი ნავები.

ხომ გახადა ტანი თავის ბატონს, ჩამოუშვა ფარდა მის განიერ, რბილ საწოლზე და დაბალი თავდაკვრით კარგებისაკენ დაიხია.

ყველაფერი თავის ადგილის არის, მოსამსახურები მიღიან თავისი ადგილის არის, ხოც თავის პატია ოთახში მიღის, რომელიც კაპიტნის საწოლი ოთახის გვერდით არის მოთავსებული.

ძლიერ მიაწია ხომ თავის ხმელ ლოგინამდე. მას თავბრუ ესმის და ისეა დაქანცული, რომ ძილიც კი არ შეუძლია. მას ელანდება კაპიტნები, მათი ხმამაღლი ტრაბახი, მათი ბოროტი და ამაყი სიცილი.

ვიწრო და ღია ფანჯარაში, რომელიც ბალს გადაჭურებს, აჩრდილმა გაირბინა. ხოს უნდა წამოიწიოს, გაინძრეს, მაგრამ იმ წამსვე მაგარი მკლავები მოეხვია მის სხეულს და მოკრუნჩხა იგი. ხოს არც ახრჩობენ, არც ეხვევიან.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, პატარა ხო, — ჩაუჩურ. ჩულა ვიღაცამ შიგ ყურში მხურვალე ტუჩებით, — გაჩუმდი. ჩემთვის უკეთესი იქნებოდა მომეკალი, მაგრამ უნ ისეთი პატარა და დაღვრებილი ხარ, რომ შემეცოდე. გაჩუმდი და არ გაინძრე. წვეტიანი ნიკაბი არ შორდებოდა ხოს ლოკებს. ხო დაცეკერდა სახეზე და იკნო ტვირთის მზიდველი საწყალი მუშა ხონგი, რომელსაც ხშირად ბაზარში ხვდებოდა.

— რა გინდა, ხონგ? — გაიჩუჩუნა ხომ.

— უნ მე მიცანი? ჰო, მე, საწყალი ხონგი ვარ. მე მინდა ვიძიო შერი! მე უნი კაპიტნის მოსაკვლელად მოვედი. ხო გატრუნული იყო. ხონგის სიტყვები სწვავდა მის გონებას.

— მე უნდა მოვკლა უნი კაპიტანი. მე უნ შეგრავ და ვერავინ ვერ იღლებს შენზე ეჭვს. ხვალ მე უკვე შორს ვიქნები და შეგიძლია უთხრა მოსამართლეს ჩემი სახელი. მე არ მსუსა უნი ცოდვა დავიდვა. ახლა კი ქვეიანად იწევი. მოსამსახურებს ტკბილად სინავთ, გუშაგი მხედრები კი შორს არიან, კარებთან. მხოლოდ უნ შეგიძლია ხელი

შემიშალო, თუ ჯაიყვირებ. მაგრამ მე არ მინდა შენი სიკვდილი.

ხო გაჩქმებული იყო, მაგრამ ხონგმა არც კი დააცადა პასუხის მიცემა, მაგრად შეუკრა მას ხელ-ფეხი თოკით და პირზე ფალასი მიაფარა.

ხო გაუნძრევლად იწვა.

ხონგი გავარდა გარეთ. ლიდებას მოსაბეჭრებელი სიჩუმე იყო.

სწორედ ხოს თავთან გაისმა შემაძრშუნებელი ხმა ვერცხლის ზარისა. მას რეკავდა კაპიტანი საწოლი ოთახიდან.

ზარმა კვლავ განგაშოთ დაიწყორუნა. ხოს დიექი-ტა თვალები და შესცე-როდა მის თავთან დაკი-დებული ამ ვერცხლის ჩი-ტის ფართხალს.

კიდევ ერთხელ შეინ-ძრა მაგრად ზარი და მყის-ვე გაჩქმდა.

ხო მიხედა, რომ იქ, კა-პიტნის საწოლო ოთახში, ყველაფერი გათავდა.

მთელი ღამე გაუნძრევ-ლად იწვა ხო. ის თვალყურს აღევნებდა ფანჯარი-დან ცისკრის ამოსვლას.

მთლად განათებული იყო უკვე. მზის ცხოვე-ლი სხივი შეიჭრა ფანჯარაში და არაჩვეულებრივი ელვარებით ახურებდა დადუშებულ ზარს. ერთ-ერთ-მა მოსამსახურემ შემოიხედა ოთახში და, დაინახა რა შეკრული ხო, საჩქაროდ მაიმალა. მალე მთელს სახლში ჩიჩქოლი იტყდა. ისმოდა განგაშიანი ფეხის ხმა და შეშინებული ხმები. მოსამსახურები და მხედრები მავიდენ ხოსთან, გახსნეს იგი და მოუთ-მენლად აძლევდენ მას კითხვებს. მაგრამ ხო, გონ-გადაკარგულივით, ხმას არ იღებდა.

მათ შინ გაიგდეს ხო და მიპარვით გასწიეს კაპიტნის ოთახისკენ.

მძიმე კაკლის კარები მთლად ლია იყო. შე-დგეს თუ არა ფეხი, ისინი შიშით ადგილზე გაშეშ-დენ. მოოქრულ მწვანე ხალიჩაზე პირდაღებული და ბრჭყვიალა კბილებ გადმოყრილი გაშოტილიყო კაპიტანი.

სისხლი ნაკადივით მოდებოდა ხალიჩას და მისი აჭრელებული სახისათვის უცნაური არშია შეემა ტებია.

მალე კაპიტნის მოკვლის ამბავი მთელმა კა-ლაქმა გაიგო.

აღელვებულმა გუშინდელმა სტუმრებმა, გამო-ჩენილმა ინგლისელმა და ფრანგმა კაპიტენებმა, თა-ვი მოიყარეს და მხურვალედ ლაპარაკობდენ ამ სა-შინელ ამბავზე.

გამოჩენილი მანდარინე-ბი, აგრეთვე აღელვებულ-ნი და შეშინებულნი, სა-წოლი ოთახის კარებოან ირეოდენ, სადაც კაპიტნის გვამი გაესინჯათ უკვე ექი-მებს და მოსამართლეებს და საწოლზე დაესვენე-ბინათ.

კაპიტნის სახლის ალა-ყაფის კარებთან ხალხი მუ-ზივით ირეოდა. ჩურჩუ-ლით ეუბნებოდენ ერთ-მანეთს სხვადასხვა ხმებს, მაგრამ მწუხარების ვერა-ვის სახეზე ვერ ამოიკითხა-ვდით.

მოსამართლემ, მანდა-რინმა, დაატუსაღა ყველა მოსამსახურე, მათ შორის პატარა ხოც, და ჩვენებისა-თვის გაგზავნა ისინი ციხეში

როდესაც პოლიციელებმა და მხედრებმა პა-ტარა ხო სხვა მოსამსახურეებთან ერთად ქუჩაში ჩა-იტარეს, ხალხმა ბუზღუნით გზა მისუა და თან-გრძნობით შეჰყურებდა ტუსაღებს, — ფიქრობდა, რომ კაპიტნის შკვლელები მიჰყავდათ.

— ნუ აწვებით, დირშალეთ, — ლაიყვირა უფ-როსმა ინგლისელმა პოლიციელმა. მხედრებმა კონ-დახები აამუშავეს.

გაბოროტებული ხმები გაისმა ხალხში:

— დროა უკვე, ძალლებო, უკან გაჰყვეთ თქვენს კაპიტანს. მოთმინების ფიალი აიგსო.

— მოიცადეთ, მოიცადეთ, დადგება ეს დრო.

ჯარისკაცები კონდახებს და ხიშტებს სუე-დენ ხალხს; იტყდა ყვირილი, კვნესა. ხალხი დაი-ფარა, მაგრამ ახლა სხვა ქუჩაში იკრიბებოდენ ტუსაღების გასაცილებლად.

ვიწრო ქუჩის მოსახვევში ხომ დაინახა ხონგის გაფითრებული და აღელვებული სახე და შეკრთა. როგორც სჩანს, მან ვერ მოახერხა გაქცევა.

ხონგი ისე აშტერდებოდა ხოს, თითქოს რაღა-ცას ეკითხებაო. ბოლოს, მან შეუმჩნევლად ასწია



— გაჩუმდი, გაჩუმდი, პატარა ხო...

თითო და მიიფარა ტუჩებზე. ის გაჩუმების სთხოვდა.

ხომ, ნიშნად დაპირებისა, მხოლოდ თვალები დაუშვა ძირს.

პატარა ხოს რბილ სავარძელში გამოჭიმულმა მანდარინმა-მოსამართლემ დაუშვი დაკითხვა. ის ტკბილად და ოლერსიანად ელაპარაკებოდა ხოს.

— პატარა ხო, არ შეიძლება არ იცოდე



პატარა ხოს მანდარინმა დაუშვი დაკითხვა.

მკვლელი. დაგვისახელე თუნდაც სულ მცირეოდენი მისი ნიშნები და მერე ჩვენ ვიცით. ჩვენ რომ მკვლელი არ დავსაჯოთ, კაპიტნები განრისხდებიან. ისინი დაგვადებენ მძიმე ულელს, გამოგზავნიან ბევრ, ბევრ ჯარისკაცს. აბა, როგორ გავუწევთ ჩვენ მათ წინააღმდეგობას?

ხო მაინც ხმას არ იღებდა. ის თვალს არ აშორებდა მანდარინის დაუტერებულ სახეს.

— ძალით გათქმევინებთ, — მუქარით სთქვა მანდარინმა და ლიმილით ანიშნა მოსამსახურეებს.

ხოს ჩამოაცვეს ბაზუკის ჯოხებისა და მითლებულებისაგან გაკეთებული მსუბუქი გალია, რომელიც უფრო სათამაშოს ჰგავდა. ჯოხები მოჭედილი იყო მახვილი ლურსმნებით. როდესაც ჯალათმა მოსამართლის ბრძანებით დატრიალა ტარი, ჯოხები შემციდროვდა და უმრავი ლურსმანი ჩერჭო ხოს სხეულში.

ხო ერთთავად თრთოდა და ეს უფრო აძლიერებდა ტკიფილს. ჯოხები უფრო და უფრო მჭიდროვდებოდა, ჰბოჭავდა სხეულს და ამტვრევდა სახსრებს.

პატარა ხოს სახეზე ცრემლი და სისხლი სდიოდა.

მანდარინმა ორჯერ შეაჩერებინა წამება და მერე ისევ განაგრძობინა. რბილ სავარძელში გადაწოლილი, ის თითქოს სიმოვნებით უყურებდა პატარა ასანჯვას.

— შენ იტყვი, პატარა ხო, მეც ცი, რომ შენ იტყვი, — რბილად ცა ალერსიანად იმეორებდა მანდარინი.

ჯალათმა უფრო მაგრად დატრიალა ტარი, ჯოხები ამახინჯებდა, ჰკუმშავდა და ამტვრევდა სხეულს.

შემაძრწუნებლად და საცოდავდა დაიყვირა პატარა ხომ, — მეტის ატანა აღარ შეეძლო.

— აი, მე ვიცოდი, რომ შენ იტყვი, — მხიარულად წამოიძახა მანდარინმა და შეაჩერებინა წამება.

მანდარინმა წამოიწა და ხოსაკენ დაიღუნდა. მას ეშინოდა, რომ არცერთი სიტყვა არ გამოჰქმოვდა

ტკივილისაგან ხოს გონება ეკარგებოდა და გრძნობდა, რომ მეტს ვეღარ გაუძლებდა. მან მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, გააღმირი, ამოიხხრა და მაგრად მოუკირა კვილები.

მძვინვარებისა და ტკივილისაგან შეშლილი სახით დააღო ხომ პირი და მანდარინს პირდაპირ სახეში მიატურთხა სისხლი.

პატარა ხომ არ გასცა ხონგი და სიმწარისაგან ენა მოიკვნიტა.

მანდარინმა დაიხია, ზიზღით მოიწმინდა სისხლი და ანიშნა ჯალათს ხოზე, რომელიც უკვე ვეღარ ივარგებდა მოწმედ.

მანდარინს არ ეშოდა, რომ ციხის სქელი კედლების გარეთ, იკრიბებოდენ ათასობით დაწყობილი ჩინელი მუშები, რომელნიც უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდენ:

— ძირს თეთრი მხაგვრელები! ძირს მათი ჯალათი ლაქიები!

ს. აუსლენდერ.



୪ ୧ ୩ ୬ ୫ ୧

(დასასრული)

ଓ ৯ ৭ ৩ ০

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქი-
დან ჩამოვიდენ მოწაფეები. უკვე ახლოვდებოდა ის
დღე, როდესაც უნდა გადგომოდენ გზას, და სოფ-
ლის პატარა ბიჭები ისევ სწავლას მოკვეთდნ.

ყველა გულისფანცქალით ელოდა გამგზავრების თღეს.

ბალუკაც მოუთმენლად ითენებდა ლამებს და
ყოველ საღამოთი აცქერდებოდა მთვარეს, რომე-
ლიც მის სოფელში, ყოფნის დროს მეორედ ბერ-
ძებოდა.

და ერთხელ, მზე რომ ამოგორდა შორეულ
მთებზე, გაისმა დოლის ხმა. მალე მოგროვდა ხალ-
ხიც და მათ შორის მოსწავლე ბიჭები, ზურგზე საგ-
ზალა კიდებულნი.

— თქვენ ახლა ისევ ქალაქში დაბრუნდებით,
ისწავლით, გაიგებთ ახალ, უცნობ რამებს და და-
ბრუნდებით ისევ, რომ ჩვენ გაღმოგვცეთ მერე;—
იყავით ჰქვიანად და მოუსმინეთ თქვენს მასწავ-
ლებლებს,— ასე უთხრა სოფლის მამასახლისმა მიმა-
ვალ ბავშებს და კმაყოფილებით გადახედა შევრო-
ვილ ხალხს.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ტყისაკენ დაიძრება. ბავშები მშობლებმა სოფლის ბოლომდე გაცილეს და მერე გულისტყივილით დაბრუნდენ უკან; ბავშები კი ჟკვე ტყეში შევიდენ და მხიარული ქივილ-ხივილით გაუდგენ გზას. ქა-იქიდან გაისმოდა გაღმოწვენილი ტოტების მტვრევის ხმა და ფოთლების შრიალი.

კარგახანს დაუსვენებლივ მიღიოდენ. შუადღე
რომ დადგა, მზე ცის შუაგულიდან დააცეკრდა
ტყეს და თვისი სხივები დაფანტა ფოთლებზე, ხე-
ხილთა ტოტებზე.

ბავშები დაიღალენ. სიარულის ღროს მუ-
ლები ეკეცებოდათ, პურიც მოშევდათ, გასავლელი
გზა კი ჯერ კიდევ დიდი იყო.

ჩამოსხდენ ხის ძირში გადმოიღეს საგზალი და, მცირე ხის დასვენების შემდეგ, შეუდგენ საუზმის ჭამას.

კარგახანი გორაობდენ ცაცხვის დაცვენილი ფოთლებით დაფარულ მიწაზე და თანაც ლაპარაკობდენ.

სალამო ისევ გზას გაუდგენ და უდირდელი სი-
ცილ-ხარხარით მიღიოდენ. მზეც ამოეფარა ტყის
გადალმა მთებს და სიბრელე ჩამოწვა. საიდან ლაც
ცაზე ლრუბლებიც წარიშალენ და ნამდვილი წყვდი-
ადი დამყარდა ტყეში. წინ წასვლა არ შეიძლებო-
და, რაღაც უკვე ალარაფერი სჩანდა. მაშინვე მო-
ქებნეს საუკეთესო აღვილი კარავის გასაკეთებლად
და შეუდგენ მის მოწყობას.

მოსჭრეს ხეხილები, ჩადგეს მიწაში, ზევიდან
გადააფარეს ტკბები და მოაწყეს კარავი. შაგვე გა-
აჩალეს კოცონი, რომელსაც გარშემო შემთუსხდენ
და გადასწყვიტეს აქ ღამის გათევა. ცოტა ხნის შემ-
დეგ ცა უფრო მოიღრუბლა. მალე გაისმა ქუხილიც
და ხშირი წვიმა წამოვიდა.

ମତ୍ରେଣ୍ସ ତ୍ୟାଗିଥି ସାହିନ୍ଦେଲି କଥାଖରି ବୁଦ୍ଧିଯଦା. କ୍ଷେତ୍ରିଲଙ୍କା ତୀର୍ଥୀରେ ତ୍ୟାଗପାତ୍ରିଜୀବି ଗାତ୍ରକାଳିନ୍ଦା, ଏବଂ ଦ୍ୱାରା ଶୁଣି ଶ୍ରେଷ୍ଠବାନାତ.

შიშის გასაქრვებლად დაიწყეს ლაპარაკი სწავლის შესახებ.

— ჩემი მასწავლებელი ამბობს, რომ მე ყველაფერს კარგად ვაკეთებ, — სოქვა აკულტურა, — მე ვიწვავლი ნივთების გაკეთებას ხისა, სპილენძისა და რკინისაგან.

მე ვისწავლი ყველაფრის ისე კარგად გაკეთებას, რომ ჩემი გაკეთებული ნივთები წავა ზღვების იქით, თეთრი აღამიანის ქვეყნებში; თეთრი აღამიანი შეაქებს მას და იტყვის: „შეხედეთ, აი ნამუშავარი აფრიკელი აღამიანისა“.

— მე ვიცი, რასაც გავაკეთებ, როდესაც დიდი კაცი ვიქენები,—სოქვა კილულუმ, მე ვიმოგზაურებ. მე წავალ თეთრი აღამიანის ქვეყანაში. ჩემი თვალით ვნახავ ყველაფრის მათ ქვეყანაში.

— შენ გაცურდები თეთრი აღამიანის ნავიკ, რომელიც კვამლს უშებს, ეს ნავი თან წაიღებს იმ ნივთებს, რომელსაც მე გავაკეთებ,—ცოცხლად გამოეხმაურა აკულუ.

— შენ რიღას იზამ, ბალუკა, როცა გაიზრდები?.. ცნობისმოყვარეობით შეეკითხენ მას ამხანაგები. ბალუკამ გადახედა ყველას, ერთხელ ამოისუნთქა და სოქვა:

— მე კი არ შემიძლია დავტოვო ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი. მე არ წამოვალ შენთან ერთად თეთრი აღამიანის ქვეყანაში, მე არ მინდა, რომ მისთვის ვაკეთებდე რაიმე ნივთებს; მე ვიცხოვრებ ტყის ახლოს, რომ ვასუფთავებდე და ვანოყიერებდე მიწას. მე ვასწავლი ჩენ ხალხს, როგორ უნდა მიწის დამუშავება.

— თეთრი აღამიანი ვერაფერს გაიგებს შენი მუშაობის შესახებ,—ნიშნის მოგებით უთხრა სეჯომ.

— განა შენ არ იცი, რომ თეთრ აღამიანებს არ შეუძლიათ თავის ქვეყანაში ჭოიყვანონ კაკაო, ბანანები, ან პალმები, რომელიც იძლევა ზეთს?.. ხილი ჩვენი ბალ-ვენახებიდან იგზავნება იგათ ქვეყნებში. არა, მე არ მინდა რომ მათ ვემსახურო. მე ვეცდები აქ გავაუმჯობესო ცხოვრება,—დაუმატა ბალუკამ და კოცონს ხის გამხმარი ტოტები შეუკეთ ცეცხლის ასაგიზგიზებლად.

ამ საუბარში დაღამდა კიდეც. დაიწყეს მოქნარება; მალე მიეძინათ კიდეც.

გათენებისას კი მზე ისევ აბრჭყვიალებდა თავის სხივებს ხეხილთა ფოთლებზე.

ბავშები წამოდგენ, წამოიკიდეს ზურგზე თავიანთი საგზალი და გაუდგენ გზას.

მათ წინ მიუძლოდა ბალუკა, რომელიც თავის ამხანაგებში ჭკუითა და გამჭრიახობით იტჩიოდა.

შეადლისას ჩავიდენ ქალაქში და დაუბრუნდენ სწავლას, რომ შეეძინათ ცოდნა და კულტრიობას გამოსდგომოდენ.

მ. ენსტფილი

ს ი მ ღ ე რ ა.

გაიღვიძა არემარემ,
გაიშალა ბალში ვარდი;
ყანები და მიდორ-ველი
დაიფარა კის ლაქვარდით.
ლელავს ყანა. სიო ნელი
აქანავებს მწვანე ტოტებს;
ტყის ფოთლები პიონერებს
მინდვრებისკენ მოუწოდებს.
მთებმა ყელი მოიღერეს,
მთებს შუბლიდან ნისლი ასდის;
გაეფინა გაშლილ ჭალებს
პიონერთა ცელქი რაზმი.
მზე ტბის სარკეს აბრჭყვიალებს,
მხემაურობს ცივი წყარო;
იქით შაშვი პეპლებს მისდევს,
ზოგი მლერის, ზოგი ცხარობს.
ირგვლივ ველი გახალისდა,
მხიარულობს ბავშთა გული;
რა კარგია ეს ბუნება,

რა კარგია ეს ზაფხული!
აქ მდინარე მოდუდუნებს,
ბადესა შლის მებადური;
იქ კი, სერჩე, ტკბილად მღერის
ჭაბუკ მწყემსის სალამური.
გადაშლილა მრავალფერი
სურათებით მთების გული;
სათიბები, იალალი
და ყანები გადახნული.
აქ ჩვენი ხმა არის ლალი,
და სიმღერით ვუხმობთ ველებს;
როცა დაგვცხავს, ნაკადულით
გავიგრილებთ შუბლს და ხელებს.
რა კარგია ეს ზაფხული!
ვუმღერო მთებს და იალალებს,
და მივჭრივართ, ვაფრიალებთ
ყველგან წითელ ბაირაღებს!..

არნო ონელი.

გ ა ე ც ი გ ა მ ა ! ..

ორმოქმედებიანი პიესა გერმანიის პიონერების ცხოვრებიდან.

მოქმედი პირი:

კარლი — გერმანელი პიონერი — 14 წლის.
განსი — { სკოლის ამხანაგები — 14 წლის.
გრეტენი — { სკოლის ამხანაგები — 12 წლის.
ფრიცი — კარლის ამხანაგი, მედუქნის შე-
გირდი — 11-12 წლისა.

პოლიციის როტმისტრი.
როტმისტრის ადიუტანტი.
პირველი უანდარმი.
მეორე უანდარმი.
მოსამსახურე მარტა.

პირველი მოქმედება

სცენა წარმოადგენს გერმანელი მუშის ღარიბ,
მაგრამ სუფთად მოწყობილ ოთახს. ფარდის ახდის
დროს სცენა ცარიელია.

გამოცვლა I.

კარლი (სასწავლებლიდან დაბრუნებული კარლთ შემთ-
დის თათხში წიგნებით ხელში, იხდის ჰალ-
ტის, შემდეგ აღებს კარადას და იდებს პერს,
რომელსაც მარილში აწებს და ისე სჭამს;
თანაც წეალს აეთდების. ბაჟზა. ამ დროს იდე-
ბა კარები და შემთდის მედუქნის ბიჭი ფრი-
ცი კალათით).

ფრიცი (ქშენით). მე შენთან მოვედი, კარლი, ერ-
თი წუთით. ჩემი ღიპიანი ბატონი წავიდა
მეგობრებით სამიკიტნოში და მე-კი მყიდ-
ველებთან გამგზავნა ბარათით. გზიდან შე-
მოვიარე შენთან. ახალი ხომ არაფერია?

კარლი. გამარჯობა, ფრიც. შენ წინანდებურად
ციყვივით დარბიხარ!

ფრიცი. მაშ რა ვქნა, კარლი, ჩემი მუშაობაც ეს
არის.

კარლი. მოიცა, ფრიც, მამა ლაპარაკობდა, რომ
ჩვენს პარტიას დღიოთი-დღე ემატებიან
მებრძოლნი და მალე ჩვენ თავს ვუშვე-
ლით. მაშინ ჩვენთვის ყველაფერი კარ-
გად მოეწყობა, შენც აღარ დაგჭირდება
აგრე დახეული ტანისამოსით ქუჩებში სირ-
ბილი და მდიდრებთან შუალამების ბა-
რათების დატარება. მაშინ შეგეძლება შენც
ისწავლო. შეიძლება სკოლების წესებიც
უფრო სხვანაირი იყოს.

ფრიცი. განა კიდევ რამე მოხდა სასწავლებელში?
კარლი. კი.. მე კიდევ მომხვდა იმისთვის, რომ
როლფს ვიცავდი.

ფრიცი. რა ამბავია, მიამბე?

კარლი. აი რა მოხდა: დღეს ანგარიშის გაკვეთილ-
ზე მასწავლებელმა ჰკითხა გაკვეთილი
როლფს და იმან არ იცოდა.

ფრიცი. მერე რა არის, რომ არ იცოდა? იმას ხომ
დედა ავადა ჰყავს და მას უხდება საღი-
ლის მომზადება და პატარა ძმების ყურის-
გდება.

კარლი. მართლია. როლფმა სწორედ იგრე უთხრა
მასწავლებელს.

ფრიცი. მერე მასწავლებელმა რა უხსრა?

კარლი. მასწავლებელმა? მოსმენაც კი არ უნდო-
და, როლფს ზარმაცი უწოდა და ცუდი
ნიშანი დაუსვა. ყურებიც კი აუწია. ეს
ველარ მოვითმინე, გავტრაზდი, მაგრამ
თავი შევიკავე, ვიცოდი, რომ მასწავლე-
ბელს ველარ შევეკამათებოდი.

ფრიცი. კარგად მოქცეულხარ. ხომ იცი, ძალა მათ
ხელშია.

კარლი. მოიცა, ყური მიგდე. შემდეგ მასწავლე-
ბელმა ჰეტრო გამოიძახა, ხომ იცი, მე-
ღუქნის შვილი. იმანაც არ იცოდა და
თავებურად განაცხადა: არ შემეძლო მო-
მემზადებინა გაკვეთილი, რადგან გუშინ
თვატრში ვიყავიო.

ფრიცი. აი სულელი! ხომ მაგრად მოხვდა ჰეტროს?

კარლი. საქმეც ეგაა, რომ არ მოხვდა. მასწავლე-



კალმიკი პიონერები ბაეშთა მე-VII საერთაშორისო კვირეულის დღეს
დემონსტრაციაზე.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

ծելմա տացածունած դաշնչող գամոյութեա, ու հա նաս տյագրնո, հոգոն մոյթոնս პոյսա ձա և սեց! առ, աման կո ամացյալքա և առը կո մածեսոց, հաս զլութահայոնդո. մոլորո ես պատլաւեծոն, ես վութլաւեծոն, ծուծա, ծոլուս գածրածու և ուս դաշնչոց ցոնցի, հոմ և ուրեցու կո ուսու օպ սու թիցածու գացոնցի. Մեմդյա և սածածու դամկ հա և գուրեյթորտան թամուցան.

ԳՐՈՒԾ (ցանցայթյածու). մարտլա?.. հաս ամոնձ!..

ԿԱՐԼՈՆ (գաւեսարյածու). մե դարթմունցիւլո զար, հոմ գամոմացլեցուն կուլյու, կարց մութայց հոմ առ զութվունցուն. սայմ ուսաս, հոմ հիմս մեծարյա առը յրու մութայց առ ուսո, ցարլա մացուս. հիշեն կլասնու եռմ մարտո մե զար նոռներո, և պազու սետ Մեմտեցյան մեռլուն մե զուսա հիշեն մումուս Մեմունցիւլուն (օւմուն քաշուն գյուղունցիւլուն).

ՑԱՅՆԱՑԼԱ ॥

ՄԵՄՈՆԴՈԱՆ ՀԱՆՍԻ և ՑՐԵԳԵՑԵՆՈ.

ՀԱՆՍԻ (գցաս քայլյածու). հայ մարտալու, մարտալու. կարլոն պազունցուն մեռլուն յրու ուսո կլասնու նոռներո, յրու ուրազու մուշեցիւ Մեմունցիւլուն առայցրու, կարլոն, Մեն աելա Մեցումեսայցիւլուն մուշանձա.

ԿԱՐԼՈՆ. զուտոմ հաւոմառ?

ՑՐԵԳԵՑԵՆ. մե և հանս ցընճա նոռներուն Մեմունցիւլուն. կարլոն ծեցրո զուտերո հիշեն կոմունունցիւլուն և նոռներուն.

ԳՐՈՒԾ (աջորտացանցիւլուն). յս կարցու, կարլոն, աելա ոյշեն սամնո օյնեցու.

հանսո. այս պարագ առ նոռներուն, չեր հիշեն կուլյու ծեցրո համ սենդա ցազունուն նոռներուն!

գուրու. հաս... Մեն կուլյու պազունուն?

հանսո. հիշեն սթորուն ամուսուն մուզունուն, կարլոն, ցուամեց կուլյու համ նոռներուն!

ՑՐԵԳԵՑԵՆՈ. առ, կարլոն, Մեն կլասնու պազունցուն ցընյանցիւլուն, հոմ մուշեցիւ կոմունուն լուս օյնեցուն կարցալու, մերց զոն արուն յս կոմունունցիւլուն, հա այց սայրու ոյշեն տան?

ԿԱՐԼՈՆ (աջորտացանցիւլուն). կոմունա? կոմունա ուսուու լուսու, հուգեսաւ առան օյնեցուն տացալցիւ լու ու վածրույթանցիւլուն, հոմլունու մուշեցիւ լուց-լամյշիւ 14 սատս ամուշացեցիւն. ցանա մարտո մոխարցիւն, ծավաշեցիւս կո. մանոն սպառա վածրույթանցիւլուն, մուշեցիւս կո առ օյնեցի, հոգունու աելաս, արաշեց մուշեցիս և գլուեցիս օյնեցի. մուշեցի լու ցայցի ու ուսուու ուսուշացեցիւն տացունուն մարշանուն լու, առ, ամուսատցուն մուլցեցի սպառացյան, հայ մատ սենդատ. առ այց սեռցրունց յօնենան կոմունաս, մեռլուն յս առ նոռներուն հիյարո մոխցուս: մուշեցիւն առ մոցաւութեն տացունուն սայութունցիւն սպառացյան. առ, սթորուն ամուսատցուն աթարմունցեց նոռներուն կոմունունցիւլուն մուշեցի.

հանսո. նոռներուն?

ԿԱՐԼՈՆ. նոռներունցիւլուն արուն Մեմունցիւլուն մեծրունցիւլուն, հոմլունու սթացլունցիւլուն մատու մայցիւսացան լավունցիւլուն նոռներուն, և հուգեսաւ մայցիւն մուսուլունուն, նոռներուն Մեմունցիւլուն մատ



Ժ. Քյուրայշունուն նոռներուն.

განსი. კარლო, მე მგონია, რომ შევძლოთ ყოველივე მაგის შესრულება, სწავლა არის საჭირო, არა?

ფრიცი. მერე როგორ იცხოვრებენ ისინი, რომლებ საც ყველაფერი ჩამოერთმევათ?

კარლო რა ვუყოთ, ისინი ისე იმუშავებენ, როგორც სხვები, მაშინ აღარ იქნებიან და-ჩაგრულები. კომუნაში ვინც არ მღვიმობს, ის არც სჭამს.

განსი. რას აკეთებენ ახლა პიონერები, ისინი ხომ ჯერ პატიარები არიან?

კარლო. ისინი სწავლობენ, რომ კომუნისტები გახდენ, ისინი შველიან კომუნისტების თანაშემწერ კომკავშირელებს, იზიდავენ ახალგაზრდა მუშებს იმათ რიგებში, რომელნიც იბრძვიან კომუნისათვის, ისინი აკრავენ მოწოდებებს, არიგებენ წიგნებს კომუნის შესახებ მუშებში და მრავალ სხვა რამეს აკეთებენ, მთავარი კი ის არის, რომ პიონერები თავიანთ სკოლაში იბრძვიან, რომ მასწავლებლები სამართლიანად ეპურობოდენ მუშების შვილებს და არ სცემდენ მოწაფეებს.

ფრიცი. კარგად გვიამბობ ყველაფერს. მაგრამ ახლა დროა წავიდე, თორემ ბატონი ჩხუბს და მიწყებს. მშვიდობით, პიონერები. მართლა, ახლა ხომ უკვე ყველანი პიონერები ხართ?

გრეტენი. მართლა. მე მინდა და ვიქნები კიდეც პიონერი!

განსი მე კი დიდი ხანია მინდოდა პიონერი ვყოფილიყავი, მაგრამ ვყოყმანობდი, არ ვიცოდი კარგად, რა იყო პიონერი.

ფრიცი (მიდის კარებისაჭერი, მერე უტბად შემთბორუნდება სახეგაბრწყინვებული). კარლო!

კარლო. რაა?

ფრიცი. არ შეიძლება რომ მეც გავხდე პიონერი?

კარლო. რატომ! შენ ხომ მუშა ხარ, მუშებს კი ჩვენ დიდი სიხარულით ვიღებთ.

ფრიცი. მაშ მეც ჩამწერე, კარლო!..

კარლო. ძალიან კარგი.

ფრიცი (გასარებული). ჩამწერ? ოხ, რა კარგია!.. ახლა კი მშვიდობით (ქმართვილი გადის).

გრეტენი. ჩვენი წასვლის დროც არის. მშვიდობით, კარლო, თორემ გაკვეთილები მოუმზადებელი დაგვრჩება.

კარლო. მაშ ხვალიამდის! (განსი და გრეტენი გადიან).

გამოსვლა III.

კარლო მარტო.

კარლო (მარტო) ახლა კი შევუდგე გაკვეთილებს (წიგნებს იდებს ჩანთადან და იწევებს მუშაბას, შემდეგ მადის ფანჯარასთან). როგორ იგვიანებს დედა. უკვე დაბნელდა, მაღლე დალმდება კიდეც, დედა კი არ მოდის. ნეტა მამაჩემი რას აკეთებს? უიმისოდ მოწყენით ვარ. აგრე მესამე დღეა, რაც ის წავიდა (ჩაფიქრდება, ამ დროს ისმის ჭარების ჭრიჭინი).

გამოსვლა IV.

შემოდის პირველი და მეორე უანდარმი.

1 უანდ. შენ მარტო ხარ, ბავშო?

კარლო. დიახ.

2 უანდ. დედა სად არის?

კარლო. დედა სამუშაოს საძებნელად წავიდა.

1 უანდ. მამაშენიც არ არის შინ?

კარლო. არც ის არის.

2 უანდ. მამაშენი ქარხანაში იქნება, არა?

კარლო. არა, იგი წავიდა.

2 უანდ. წავიდა? საღ?

კარლო. მან არ მითხრა, თუ სად წავიდა.

1 უანდ (ეჭვით). მაშ შენ არ იცი, სად წავიდა?

კარლო არ ვიცი.

1 უანდ (უქეშად). სტუუ! იცი, მაგრამ არ გინდა სთქავ! აი, ციხეში რო ჩიგსვამთ, მაშინ იტყვი, ალბათ!..

კარლო. მე არ შემიძლია გითხრათ ის, რაც არ ვიცი.

1 უანდ. (მე 2-რე უანდარმი). გაშინჯე ოთახი (უანდარმი შიდის). ყური მიგდე, ბავშო, როცა მამაშენი შინ იცი, იმასთან ამხანაგები დადიოდენ?..

კარლო. არ ვიცი, არ დადიოდენ.

1 უანდ. აგრე, აგრე (ჰაუზა. შემთდის მეორე უანდარმი).

2 უანდარმი. ვერაფერი ვერ ვიპოვნე.

1 უანდ. ძალიან სამწუხარო! (კარლოს) აბა, მოემზადე: შენ დატუსალებული ხარ, ჩვენთან წიმოხვალ. (კარლო იჭვამს შალტოს და მისებებს უანდარმებს).

(ვ ა რ დ ა).

პიონერ-მუზაკთა თათბირი.

4 მაისს გაიხსნა და 7 მაისს კი დაიხურა სრულიად საქართველოს პიონერ მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი. ამ თათბირზე იყვნენ საქართველოს პიონერ-მოძრაობის ხელმძღვანელი ამხანაგები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ თათბირის მუშაობა მეტისმეტად საქმიანი იყო.

დღეს, როცა პიონერ-მოძრაობას თავისი მეტად როგორ საკითხები აქვს გადასაჭრელი — ამ თათბირის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ეძღვევა საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის შემდგომი წინსკლისათვის.

რადარა საკითხები იდგა თათბირის წინაშე? 1) მოხსენება აღგილებიდან, 2) საქართველოს ბავშთა კომორგანიზაციის ზრდის საკითხი, 3) საქართველოს ბავშთა კომორგანიზაციის საზაფხულო მუშაობა, 4) ხელმძღვანელობის საკითხი და წინამდღოლთა შორის მუშაობა, 5) პიონერ-მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდის საკითხი, 6) პიონერ-პრესის საკითხი და სხვ.

დიდი ყურადღება მიექვა აღგილებიდან ორგანიზაციების დამახასიათებელ მოხსენებებს; აშკარაა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თავისებური პირობებისა და მდგომარეობის გამო, საერთო მუშაობის მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი, გამომუშავებულია და პრაქტიკულად არის გამოყენებული მუშაობის ახალი სახეები, გვაქვს მნიშვნელოვანი მიწევები და ამასთანავე ნაკლიკურელივე ამას თათბირმა სათანადო ყურადღება მიაქცია და ამის მიხედვით დაისახა მომავალი მუშაობის გეგმა.

საქ. ბავშთა კომორგანიზაციის ზრდის შესახებ თათბირმა შემდეგი აღნიშნა: უკანასკნელ ხანებში აღგილი ჰქონდა პიონერ-ორგანიზაციიდან ბავშთა გასვლას. ამისი უმოავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი მუშაობის შინაარსი ვერ აქმაყოფილებდა ბავშთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა დავისახოთ, რომ პიონერ-მუშაობის შინაარსი უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ, ბავშთა ინტერესებს და მოთხოვნილებებს შევუფარდოთ.

პიონერ-ორგანიზაციის საზაფხულო მუშაობა, თანამედროვე პირობებით წამოყენებული, ბავშთა კომორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესრულების გზით უნდა მიმდინარეობდეს. ეს ამოცანებია: პიონერ-მუშაობის გამოცდლება, მისი გაუმჯობესება

და გაღრმავება ბავშთა თვითმოქმედების საფუძველზე, აგრეთვე ხელმძღვანელობის ფორმის და მეთოდის გაუმჯობესება.

პიონერ-ორგანიზაციის მიმდინარე საზაფხულო მუშაობის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს: ზრუნვა პიონერთა გაჯანსაღებაზე, მასიური მუშაობის წარმოება შეუკავშირებელ ბავშთა შორის — რომ ამ გზით ისინი ჩამდებოდენ იქნან ორგანიზაციაში, პიონერების მიერ აქტიური მონაწილეობის მიღება სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში და სხვა.

თათბირზე გამოირკვა, რომ პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის საერთო პირობები ზოგიერთ მაზრებში ვერ სდგას სათანადო დონეზე; საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაინტერესებული პიონერ-მოძრაობის საკითხებით, მთელი რიგ მაზრებში შენიშვნულია ე. წ. დაინტერესებული ორგანიზაციების (პრაფედერისტების, განათლების ორგანიზაციების და სხვა) სრული უყურადღებობა პიონერ-მოძრაობისადმი.

პარტია და კომკავშირი, განსაკუთრებით დაბალი საუჯრედო ორგანიზაციების სახით, ჯერ კიდევ ნაკლებ ინტერესს იჩენს და ახლოს ვერ იცნობს პიონერთა შორის მუშაობის ყველა კონკრეტულ ფორმასა და მეთოდს.

ზოგიერთ აღგილას მთელი ხელმძღვანელობა განისაზღვრება პარტიისა და კავშირის უჯრედთა უბრალო, ფიქტიური წარმომადგენლობით: უკანასკნელნი არ სწავლობენ პიონერ-მუშაობის ცალკე დარგებს, ჯერ კიდევ ვერ გარკვეული ბავშების თავისებურებასთან შეფარდებულ აღზრდის სისტემაში, არ ხდება გამოკვლევა და შესწავლა პიონერ-კოლექტივების მუშაობის ცალკე დავადებული აღგილების: პიონერ-მუშაკთა შემადგენლობა ზედმიწევნით სუსტია, აღგილი აქვს შედარებით სუსტი კომკავშირების გამოყოფას კოლექტივების ხელმძღვანელებად.

განსაკუთრებით სუსტია პიონერ-მუშაკთა მომზადება პედაგოგიკის და სანიტარია-ჰიგიენის დარგებში. კოლექტივის წინამდღოლთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ იღმება პარტიისა და კომკავშირის მიერ აღგილებზე ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ხელმძღვანელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხი (კურსები, სემინარიები, თათბირები),



საქართველოს პიონერ-მომუშავეთა თათბირის მონაწილენი.

ხოლო სადაც ცხოვრებაში ტარდება, ვერ აქმაყო-
ფილებს კოლ. ხელმძღვანელთა ყველა მოთხოვნილე-
ბას. ადგილი აქვს მათ დატვირთვის სხვადასხვა
საზოგადოებრივი და საუჯრედო საქმეებით, რაც
დიდად უშლის ხელს და არ აძლევს ხელმძღვანე-
ლებს საშუალებას მეტი ყურადღება მიაქციონ პიო-
ნერ-კოლექტივში მუშაობას.

აგრეთვე ფართედ უნდა იქნას გატარებული
პიონერ მუშაობაში კონკრეტული დავალებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერთა თავი-
სუფალი დროის ჯეროვანად გამოყენებას, რომ
თავიდან იქნეს აცილებული ცუდი ყოფა-ქცევა
(ხულიგნობა, ქუჩის გავლენა). ამ საკითხს ან ნაკ-
ლები ყურადღება ეჭცევა ადგილებზე, ან არის

სათანადო პირობები მის მოსაგვარებლად. ამ საკით-
ხის მთელი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ
პიონერთა თავისუფალი დრო ხმარდებოდეს ცოც-
ხალ მასიურ თამაშობას, დილა-სალამოების მოწყო-
ბას, რებუსებისა და ამოცანების გადაწყვეტას და
სხვა. ყველა ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს
მუშათა კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, თავისუფა-
ლი დარბაზები და აგრეთვე ის მუშაკები (ქოხ-სამ-
კითხველოების გამგები, პედაგოგები და სხვა), რო-
მელნიც უშუალოდ ეწევიან კულტურულ საქმია-
ნობას აღილებზე.

ყველა ამ საკითხზე თათბირმა თავისი აზრი
შეიმუშავა და ადგილებს სათანადო გეგმა მისცა მუ-
შაობის საწარმოებლად.

6. ორაგველიძე.

1930 გავაის მოვალეობაა წაიკითხოს თავისი ურნალი „პიონერი“.

პიონერ! უოველგვარად უიურყე სერი უნი ურნალის
გავალცერებას.

საზაფხულო მუშაობის გთავარი ამოცანაზე.

საზაფხულო მუშაობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბევრ პიონერს არ აქვს კარგად შეგნებული. გასულ წელს, როდესაც ჩვენ საზაფხულო მუშაობას ვატა რებით, ბევრი პიონერ-კოლექტივი იმს გულგრილად შეხვდა. მათ ეგონათ, რომ საზაფხულო მუშაობა საზამთრო მუშაობის ჩვეულებრივი განგრძობა არის: ისევ ის კოლექტივის კრებები, ისევ კედლის გაზეთის გამოშვება, რგოლებში მუშაობა და სხვა. ასე ფიქრობდა ბევრი პიონერი.



პიონერები ბანაობენ ბანაკად ყოფნის დოოს.

საზაფხულო მუშაობა კოლექტივებმა სხვადასხვა დროს დაიწყეს, რის გამოც გასულ წელს საზაფხულო მუშაობის ჩატარებამ ცოტა შედევი მოგვცა და მთავარი ამოცანებიც არ იყო შესრულებული, ამან კი გავლენა მოახდინა ორგანიზაციის მუშაობაზე.

ზაფხულში ჩვენ შეგვიძლია საზამთრო მუშაობისაგან განსხვავებული სამუშაოს შესრულება და ამოცანებიც სულ სხვაგვარია.

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ზამთარში ჩვენი საერთო ამოცანები სხვაა და ზაფხულში სხვა. ჩვენი მიზანი — მოზარდი თაობის აღზრდა — და ჩვენი მუშაობის მთავარი ხაზი ერთია როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში. მაგრამ, მაგალითად, პიონერთა მოედნებზე მუშაობა, ბანაკად გასვლა, ჰაერის, მზის და წყლის გამოყენება უფრო შესაძლებელია ზაფხულში, ვიდრე ზამთარში, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიონერთა გაჯანსაღების საკითხში.

გასული წლის ყოველი გამოცდილება წელს ზედმიწევნით უნდა გამოვიყენოთ, თუ ვიდან უნდა ავიცილოთ ის შეცდომები, რომელიც ჩვენ გვახასიათებდა.

სანამ საზაფხულო მუშაობის ამოცანებზე გადავიდოდეთ, უნდა განვსაზღვროთ, თუ როდის უნდა იქნეს დაწყებული ეს საზაფხულო მუშაობა. ეს მუშაობა დაწყებულ უნდა იქნას აუცილებლად პირველი ივნისი უნდა და უნდა დაზავრდეს სექტემბრის შუა რიცხვებამდე. მაგრამ სანამ მუშაობას დავიწყებდეთ, საჭიროა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება (1 მაისიდან დავიწყოთ და პირველი ივნისი და დაგამთავროთ). მოსამზადებელი მუშაობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს საზაფხულო მუშაობის საკითხების დამუშავება პიონერ-კოლექტივში.

ყოველმა პიონერმა უნდა იკოდეს და ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რაა მისი მოვალეობა და რა უნდა გააკეთოს მან ზაფხულში. კოლექტივმა უნდა შეიმუშაოს ზაფხულის პერიოდის თვის სამუშაო გეგმა. თუ იქნება ისეთი საკითხები, რომელიც წინასწარ მოითხოვენ მომზადებას, მაგალითად: ბანაკისთვის საჭირო

ნივთები, ექსკურსიებისთვის საჭირო მასალები, — ყველა ეს მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში უნდა გაკეთდეს.

მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ საზაფხულო მუშაობაზე გადავიდოვართ.

რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე?

1. საზაფხულო მუშაობა ფართედ უნდა გამოვიყენოთ პიონერთა გაჯანსაღებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ შემოღოვის და ზამთრის პერიოდში ჩვენ მუშაობა გვიხდება დახურულ ოთახებში, სადაც ხშირად უსუფთაობაც კი არის. ამ პირობებში ილახება პიონერის ჯანმრთელობა. არამც და არამც არც ერთმა კოლექტივმა ზაფხულში დახურულ ოთახში არ უნდა იმაცადინოს, და საჭიროა მოეწყოს პიონერ-მოედნები. გასულ წელს ჩვენ ვერ შევძელით, რომ ყველა პიონერ-კოლექტივს მოეწყო ისეთი მოედნები, წელს კი უნდა ვეცადოთ გაცილებით მეტი გაფაკეთოთ.

მოედანი შეიძლება იყოს ორგვარი: კოლექტივის და რაიონის, ე. ი. რამოდენიმე კოლექტივის ერთად. ჩვენს სინამდვილეში უველა კოლექტივს ცალცალკე გაუჭირდება მოედნების მოწყობა, ამისათვის რამოდენიმე კოლექტივი უნდა შეერთდეს და მოაწყონ ერთი საერთო მოედანი, შემდეგ კი რიგ-რიგობათ გამართონ მეცადინეობა. საზაფხულო პიონერები მზად უნდა იყოს იმ მომენტისთვის, როდესაც საზაფხულო მუშაობას დავიწყებთ.

2. ზაფხულში დიდი შესაძლებლობა არის შეუკავშირებელ, არაპიონერ ბავშებს შორის მუშაობის გაჩაღებისთვის. ჩვენ ყოველთვის გავიძახით, რომ მუშაობა უნდა ვაწარმოოთ შეუკავშირებელ ბავშებში, სინამდვილეში კი ამ მხრით ძალიან ცოტას ვაკეთებთ. განაცოტა ისეთი ბავში, რომელიც პიონერთა ორგანიზაციაში უნდა იყვნენ, მაგრამ, რაც გან პიონერები მათ შორის სათანადო მუშაობას არ ეწევიან, პიონერ ორგანიზაციის გარეთ არიან? — ასეთი ბავში ძალიან ბევრია. საჭიროა შეუკავშირებელ ბავშებთან მჭიდრო კავშირი, მათი კოლექტივის ირგვლივ დარაზმვა. ამისთვის კი ფართედ უნდა გამოვყენოთ პიონერთა მოედნები. ეს მოედნები ზაფხულში გადიქცევა ცენტრად, სადაც აუცრებელი ბავში მოიყრის თავს. არც ერთი სერიოზული ხასიათის მუშაობა, თამაში არ უნდა ჩატარდეს საზაფხულო მოედნებზე, რომ მათ შეუკავშირებელი ბავშები არ დაესწრონ. პიონერებს ზაფხულში უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვთ და ეს დრო შეუკავშირებელ ბავშებში მუშაობას უნდა მოანდომონ.

3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გაღრმავება — ესეც საზაფხულო მუშაობის ამოცანაა და ეს საქმეც ძალიან სუსტადაა დაყენებული. აბა, რა პიონერია ის, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, თუ რას ნიშნავს რემდასი, არ იცნობს კომკავშირის მუშაობას, არ იცის, თუ რას აკეთებს სოფლის საბჭო! ასეთი პიონერი არაფრად არ ვარგა და უველა უნდა ვეცადოთ ეს შევისწავლოთ. ზაფხულში მუშაობა უფრო ხალისინია და უნდა გავაცხოველოთ მუშაობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სოფლად კიდევ უფრო მეტი ასპარეზია მუშაობისათვის. მთავარი ამოცანა უნდა იყოს — სასოფლო მეურნეობაში აქტიური მონაწილეობის მიღება. კოლექტიურად უნდა ვეხმარებოდეთ ლარიბ გლეხებს,

უნდა ვავრცელებდეთ აგრონომიულ ცოდნაშიც შეიძლიათ დამუშაონ კოლექტიურად ბალ-ბოსტანი. აი, მაგალითად, გასულ წელს ბათუმის ერთმა კოლექტივმა მოაწყო ბალი და იმათ ორგვარი სარგებლობა მიიღეს: ერთი ის, რომ აგრონომიული ცოდნა შეიძინეს, მეორე კი — ბალში მოუვანილი პროდუქტები შეისყიდა კოოპერატივმა და ამით პიონერებმა კარგი ბიბლიოთეკა შეიძინეს.

ასეთი მაგალითები თითო-ოროლა კი არ უნდა იყოს, კოლექტივების უმრავლესობა ასე უნდა მუშაობდეს ზაფხულში. საჭიროა აგრეთვე პიონერებმა მიიღონ მონაწილეობა სოფლად კულტურულ მუშაობაში, რომელიც წარმოებს ქოხ-სამკითხველოების, სახალხო სახლების, სოფლის საბჭოების ირგვლივ.


4. სოფლის და ქალაქის დაახლოებას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა გაღრმავდეს საშეფერო მუშაობა. თუკი ზამთარში შეუძლებელია შეფობის ქვეშ მყოფ კოლექტივში წასვლა ქალაქიდან სოფელში, — ზაფხულში ეს შესაძლებელია. სოფლის და ქალაქის კოლექტივები თავისი მუშაობით უნდა დაუახლოვდენ ერთომეორეს. ზაფხულის განმავლობაში ქალაქის კოლექტივებმა უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელობა სოფლის კოლექტივებზე.

5. ზაფხულში ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული ექსკურსიების მოწყობა. ეს შეიძლება მოეწყონ როგორც აღგილობრივ, ისე სხვა ქალაქში. ექსკურსიებს უნდა ახასიათებდეს გეგმიანობა. წინასწარ უნდა იქნეს გამომუშავებული ჩასატარებელი ექსკურსიის პირობები და გეგმა. ექსკურსიები შეიძლება მოეწყონ ისტორიული, გეოგრაფიული, საბუნების-მეტყველო ხსიათის და სხვა. ექსკურსიებზე გამორკვეული საკითხები დღიურებში უნდა ჩაიწეროს.

6. უნდა გაღრმავდეს კოლექტიური შინააღმზრდელობითი მუშაობა (წრეებში, პიონერებს შორის, კუთხეში მუშაობა). კელლის გახეთი უნდა აშუქებდეს მიმდინარე საზაფხულო მუშაობის უარყოფით და დაეგბით მხარეებს. კოლექტივის დღიურები უნდა იქსებოდეს ახალ-ახალი ცოცხალი მასალებით, რომელიც პიონერების თვითმოქმედებას და შემოქმედებას უნდა გამოხატავდეს.

ასეთია საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანები. ზაფხულის გასულს ჯამი უკეთდება ჩატარებულ მუშაობას.

ტანი.



ჩ ვ ე ნ ი მ ა მ ი ს ტ ე ბ ი მ ა მ ი ს ტ ე ბ ი

ა მ ა რ ი დ ა მ ა მ ი ს ტ ე ბ ი კ ი რ ე რ ე ბ ი ს ბ რ ძ ლ ა.

ჩვენს ბავშებს უყვართ კითხვა ამერიკის შესახებ და მას ეცნობიან ძველი ბურუუაზიული ლიტერატურით, რომელიც განსაკუთრებით აფერადებდა ამერიკას სხვადასხვა ფანტასტიური ცნობებით, ამერიკა კი ერთი ყველაზე უფრო სასტიკი მხარეთაგანია, სადაც ბავშების ცხოვრება მეტად მძიმეა, სადაც პიონერებისათვის მუშაობის წარმოება განსაკუთრებით ძნელია, რადგანაც ამაში მათ ხელს უშლის ბურუუაზიული სახელმწიფოს კანონები.

ამერიკელები ყველაგან გაიძახიან, რომ მათ ქვეყანაში გაცილებით უფრო ადვილია ცხოვრება, ვიდრე საღმე სხვაგან, გაიძახიან, რომ ისინი, მართალია, ბევრს მუშაობენ, მაგრამ ბევრსაც შოულობენ, და ამერიკელი მუშა ისევე ცხოვრობს, როგორც რომელიმე ევროპელი ბურუუა. მაგრამ სამაგიეროდ ასეთი გაძლიერებული და სწრაფი ტექნიკით მუშაობა მუშებს ძლიერ ჰდების და მათ მაღლე ესპოზათ სიცოცხლე. ამერიკის ქარხანა-ფაბრიკის მუშის ცხოვრების ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნების მუშების.

ბავშები იქ მუშაობენ: 10 საათს და ხშირად 12 საათსაც დღედადამეში, მუშაობენ მეტისმეტად მძიმე და მათი ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებაში. მათ ამუშავებენ იგრეთვე ღამ-ღამობითაც. ზოგიერთ ქალაქებში მთელი ბავშების რაოდენობის ერთ მეათედზე მეტი კვდება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მათ 15 წელი შეუსრულდებათ.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არიან ზანგების ბავშები, რომლებსაც არავითარი კანონი არ იცავს, რომლებსაც მწარმოებლები მეტისმეტად

მძიმე სამუშაოებზე იყენებენ; სამსრეოის პლანტაციებზე მათ აიძულებენ იმუშაონ 16 საათი დღეში. ზანგების ბავშები ისე უმნიშვნელო სამუშაო ქირას იღებენ, რომ მათ უმეტეს შემთხვევაში ნახევრად მშივრებს უხდებათ ცხოვრება; საბინაო პირობებიც აგრეთვე ძლიერ ცუდი აქვთ, ჰიგიენური პირობებიც არ არის დაცული მათ საცხოვრებლებში.

არც სახოგადოებრივი უფლებებით სარგებლობენ ზანგის ბავშები. მრავალ კლუბში და სამიკიტნოში ზანგებს არ უშვებენ, ქალაქის ბაღების მრავალ შესავალზეა ჩამოკიდებული შემდეგი წარწერა:

„ზანგებს და ძალლებს აკრძალული აქვთ შემოსევლა“.

ზანგის ბავშები ხშირად იძულებულები არიან თავი დაანებონ სკოლას და სამუშაოდ წავიდენ. მშობელთა გაჭირვება მათ აიძულებს ასე მოიქცენ, ხოლო წარმოებაში გამეფებული ექსპლოატაცია კი სულ მაღლ აგზავნის მათ საფლავისაკენ. ზოგიერთ ქალაქებში ზანგის ბავშების ნახევარი ესალმება წუთისოფელს.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა, ამერიკაში 5000 ბავში მაინც არის დარაზმული ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციაში და ისინი აქტიურ მუშაობასაც აწარმოებენ. ამათგან დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 4 ათასი) მეტატებულ შტატებშია, 600—კანადაში და დანარჩენები კი მექსიკაში. იმათ აქვთ საკუთარი გაზეთი „ნორჩი ამხანაგი“, რომელიც ოვეში ერთხელ გამოდის და 80.00 ცალი სალდება. ეს ფაქტი გვიჩვენებს იმას, რომ იქ ბევრია ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციების თანამდებნო-

ბი, რომლებიც მასში არ შედიან. ნორჩი პიონერები აწყობენ მიტინგებს და კრებებს, გამოდიან დისკუსიებში მასწავლებლების და მღვდლების წინააღმდეგ, უფრო გაცხოველებულ სასკოლო მუშაობას მოითხოვენ და სხვ.

წარმოებებში პიონერები ცდლობენ თავიანთი პროლეტარული ბავშების დარაზმვას და თავის მოთხოვნათა — სამუშაო დროს შემცირების და ბავშთათვის ღამით სამუშაოს აკრძალვის — პოპულარიზაციას. ზოგიერთ ადგილებში პიონერებმა მონაწილეობა მიიღეს დიდების მიერ მოწყობილ გაფრცვაში და მანიფესტაციების დროს ყველაზე წინ მიღიობენ წითელი დროშებით, რის შესახებაც დიდი შიშით და ოლელვებით სწერდენ ბურულაზიული გაზეთები.

ბავშთა კომუნისტური ჯგუფები ენერგიულად ეხმარებიან კომპარტიის და კომკავშირს რევოლუციონურ მუშაობაში და თვითონაც მუშაობენ მათი ხელმძღვანელობით.

ზანგის ბავშები, რომლებიც საერთოდ შეტისმეტი იჭვის თვალით და უნდობლად უყურებენ თეთრებს, ჯერ კიდევ ცოტათი არიან ჩამმული ბავშთა კომჯგუფებში და მათ შორის აგიტაციის წარმობაა ამერიკის პიონერების ერთ-ერთი მთავარი აქტიანა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აგიტაციის ისინი მეტისმეტი გულმოდგინებით ეწევიან, ებრძვიან ბურულაზიულ ქრისტიანულ კავშირებს, რომლების რაოდენობაც ზანგებში მრავალრიცხვანია.

პოლიცია სასტიკად სდევნის პიონერებს, თვალურს ადევნებს მათ, ატუსაღებს და სცემს. ბატონები ითხოვენ მათ სამუშაოდან.

მომუშავე ბავშთა რიცხვი თითქმის რვა მილიონს უდრის. ამერიკის პიონერებს მეტად მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, ბავშთა ბურულაზიული ორგანიზაციების, რელიგიური და სამხედრო (ბოსკაუტები) კავშირების მხილება. მაგრამ ნორჩი პროლეტართა რაზმები მტკიცედ მიღიან წინ და საქებით არიან დარწმუნებული, რომ მახლობელ წლებში მათი რაოდენობა ძლიერ გაიზრდება, ორგანიზაცია განმტკიცდება და შემდეგ კონგრესზე (საერთოშორისო ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციების

შემდეგს კონფერენციაზე) ისინი სხვა ქვეყნების მოსახლეებს უამბობენ თავისი მიხშევების შესახებ. ჩვენი ამოცანაა — ყოფელნაირად დავეხმაროთ ამერიკის ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას მძიმე ბრძოლაში.



გერმანიის პიონერების საპატივცემულოდ გამართულ მიტინგზე დელეგატების გამოსვლა.

გერმანელი პიონერები და მონაცემები

გერმანიის ბავშთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო გაიმართა ლენინგრადელი პიონერების დიდი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2.000 ბავშვა.

გერმანიის მუშაობა გავშეგის დელეგაცია.

17 მაისს, ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა შეილების — პიონერების — დელეგაცია. მოსკოვის პიონერ-კოლექტივებმა ჩამოსულ სტუმრებს ალექსანდროვის სადგურში გაუმართეს მხურვალე შეხვედრა. დელეგაციის მატარებლის ჩამოსვლის შემდეგ სადგურში შესდგა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც 13 წლის გერმანელმა პიონერმა გერტა აიზენშმიტმა საბჭოთა კავშირის პიონერებს გადასცა სალამი გერმანიის მუშათა ბავშებისაგან.

ჯერჯერობით ჩამოვიდა 4 დელეგატი: გერმანელი პიონერი გეინც პრიზი, 12 წლის, გერტა აიზენშმიტტ, 13 წლის, მუშათა სპორტიული ორგანიზაციის წევრი გარე ინზელმანი, 14 წლის და „კინდერლანდის“ ორგანიზაციის წევრი გერტი რაისმანი, 14 წლის. დელეგაციის თან ახლავს კომკავშირელი ფრიც შუმხერი. 2 დელეგატი გზაში შეჩერდა და ამ დღეებში ჩამოვლენ.

როგორ უნდა მოიქცეს პიონერი, თუ გას სურს ჯანმრთელი იყოს

დილაობით ძღვე ძღვომას უნდა მიაჩინო თავი. გალვიძების-თანავე სწრაფად უნდა წამოხტე ლოგინიდან, გაალო ფანჯარა და სუფთა ჰაერზე შეუდგე დილის ტანვარჯიშობას, რომელიც მიგაჩვევს ლრმად სუნთქვას. ტანვარჯიშობის შესახებ სთხოვე რჩევა ექიმს, რომელიც აგისხნის აგრეთვე ღრმა სუნთქვის მნიშვნელობას. თუ შეჩევული არა ხარ ზამთარში, ერთბაშად ცივ ჰაერზე ტანვარჯიშობის გაკეთება არ არის კარგი—შეიძლება გაცივდე. საჭიროა თანდათანობით შეაჩინო თავი სიცივის ამტანლობას. ამისათვის ზაფხულში უნდა დაიწყო დილაობით სუფთა ჰაერზე შიშვლად ტანვარჯიშობის გაკეთება და ტანის ცივ წყალში დასველებული ტილოთი გახეხვა. დაწყებისას სჯობია ტილო ნელ-თბილ წყალში დასველო და შემდეგ თანდათანობით ცივ წყალზე გადახვიდე.

სასარგებლო, რომ წყალი მარილიანი იყოს, რისთვისაც საკმარისია აიღო ერთ ბორჯომის ბოთლ წყალზე ერთი სუფრის კოვზი ზღვის მარილი. თუ ამნაირად თანდათანობით შეაჩინე ტანი სიცივის ატანას, იცოდე, ადვილად არასოდეს არ გაცივდები. კვირაში ერთხელ მაინც, კარგ ამინდში, ლოგინი აუცილებლად გაიტანე გარეთ გასამზევებლად.

თვალყური ადევნე, რომ ოთახში სუფთა ჰაერი იყოს და სისუფთავე იყოს დაცული. ზაფხულობით ფანჯრებგალებულ ოთახში დაიძინე და ზამთარში კი, ჰაერის გასაწმენდად, ყოველდღე გააღე ფანჯარა 10—15 წუთით.

გახსოვდეს, რომ მტვერი, გაფუჭებული ჰაერი და საერთოდ უსუფთაობა საუკეთესო ბუდეს წარმოადგენს მიკრობებისათვის და ასეთ პირობებში შესუნთქული ჰაერიც იწვევს ფილტვების დაავადებას და ყოველგვარ ავადმყოფობას.

პირის დაბანის დროს არ დაივიწყო კბილების გაწმენდა. ვინც პირის ღრუს სისუფთავეს პატარობიდანვე თავს არ მიაჩვევს, მას არასოდეს არ ექნება საღი კბილები.

ადამიანს თუ კბილები არ უვარგა, საჭმელს კარგად ვერ დალეჭავს. საკმაოდ დაუღეჭავი საჭმელი იწვევს კუჭის ზედმეტ მუშაობას, რასაც შედეგად კუჭის დაავადება მოჰყვება ხოლმე.

ჭამის დროს კბილებს შეუ მუდამ გაიქცედება საჭმელი და თუ ყოველდღე არ იქნა პირი გასუფთავებული, კბილებში ჩარჩენილი საჭმლის ნარჩენები ლპობას დაიწყებს, ამის კი შედეგად მოჰყვება პირიდან მყრალი სუნი, კბილების დაზიანება და ყოველგვარი ავადმყოფობა, რაღაც დამპალი საჭმლის ნარჩენები მიკრობებისათვის საუკეთესო ბუღეს წარმოადგენს. ამიტომ შენთვის ადვილი გასაგებია, თუ რამდენად მავნებელია ჯანისათვის უსუფთათ პირი, სადაც წარმოუდგენელი სისწრაფით მრავლდებიან ყოველნაირი ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები, რომლებიც, ერთის მხრით, კბილებს აფუჭებენ და, მეორე მხრით, ნერწყვის საშუალებით გადაღიან აგრეთვე კუჭ-ნაწლავებში, აქედან სისხლში და სწამლავენ სხეულს.

მიკრობების გამრავლება უმეტესად ხდება ძილის დროს, ამიტომ საჭიროა აგრეთვე ძილის წინ კბილების გაწმენდა.



როგორ უნდა იქცეოდეს პიონერი.

ერიდე აჩქარებულად კერძის ჭამას. ჭამის დროს საჭმელი კარგად დაღეცე. აჩქარებულად კერძის ჭამის დროს, ცხადია, საჭმლის საკმაო დაღეცვას ვერ ასწრებ და ყლაპავ დაუღეპავ საჭმელს, რომლის მონელებაც კუჭს ნამეტნავად უძნელდება.

თუ აჩქარებული ჭამა ჩვეულებად გადაგექცა, იცოდე, რომ წამოიზრდები, აუცილებლად კუჭის ავადმყოფობა გამოგაჩნდება. ერიდე მეტად ცივ და ცხელ საჭმელს.

ჭამის წინ ხელები სუფთად უნდა დაიბანო. უსუფთაო ხელების კანზე მუდამ ბუდობენ სხვადასხვა მიკრობები, და, თუ დაუბანები ხელებით პური ხელში აიღე, მიკრობები პურს გადაედება და მასთან ერთად კუჭში თავს ამოჰყოფენ. უნდა ერიდო აგრეთვე უს უფთაო წყლის სმას, რადგან ასეთ წყალში ხშირად არის ყოველნაირი მიკრობი, რომლებიც მუცლის მრავალგვარ ავადმყოფობას იწვევენ, მაგალითად, მუცლის ტიფს, ხოლერას, დეზინტერიას (მუცლა) და სხვა.

★ წყლის აღუდებით მიკრობები კვდებიან და ამიტომ, წყლის სისუფთავეში ეჭვი თუ გეპარება, ჯობია უდუღარი წყალი არ დალიო, მეტადრე ზაფხულობით და ნამეტნავად კი ისეთ დროს, როდესაც მუცლის რომელიმე ავადმყოფობაა გავრცელებული.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ მიკრობები არიან ყოველგვარი გადამდები სენის გამომწვევი მიზეზი.

ასეთ მიკრობებს ჩვენ თითქმის ყველგან ვხვდებით: მიწაზე, ჰაერში, წყალში, ჩვენ ტანსაცმელზე, ერთი სიტყვით, ყველა იმ საგანზე, რომელიც ჩვენს ირგვლივ იმყოფება.

მომეტებულად ვხვდებით მათ მტვრიან, უსუფთაო და მზის სხივებს მოკლებულ აღგილებული, წამხდარ ჰაერში და სხვა.

როგორც ვხედავთ, უსუფთაობა, თურმე, მიკრობებისათვის საუკეთესო ბუდეს წარმოადგენს, სისუფთავე და მზე კი მათი მტერია.

მაშასადმე, აღამიანის ჯანისათვის სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

საცხოვრებელი ჰინის სისუფთავესთან ერთად ყურადღება უნდა მიაქციო აგრეთვე ტანის სისუფთავეს, რისთვისაც საჭიროა კვირაში ერთხელ მაინც აბანოში წასვლა და სუფთა საცვლების ხმარება.

კანი—აღამიანის სხეულის მთავარი დამცველია.

სალი და მთელი კანი არასოდეს მიკრობებს ტანში არ შეუშვებს. კანი გვიცავს ჩვენ სიცივისაგან, გამოიაქვს ოფლით ჩვენი ტანიდან. სხეულისათვის მავნე ნივთიერება და ამავე დროს დახმარებას უწევს ჩვენს ფილტვებს სუნთქვაში, ე. ი. კანით ჩვენ ვსუნთქვათ.

უსუფთაო კანი და ოფლით გაუღენთილი ბინძური საცვალი ჯანისათვის მავნებელია. გიყვარდეს კანის სისუფთავე და გახსნოვდეს, რომ ყოველგვარი კანის ავადმყოფობა (მუწუკები, ლერი და სხვა) ჭუჭყისაგან ჩნდება.

კანის ავადმყოფობით დაავადებულ ამხანაგს ერიდეთ, რადგან ამგვარი ავადმყოფობა კარგად მყოფზე ძალიან აღვილად გადადის. თუ ამხანაგს შეამჩნიე ასეთი ავადმყოფობა, უნდა ურჩიო აუცილებლად ექიმს ეჩვენოს და თავი იწამლოს.

აი, ხომ ხედავ, რომ მიკრობები აღამიანის მტერი ყოფილია. მტერის დამარცხებისათვის საჭიროა გაეცნო მისი არსებობის წყაროს, რომ იყი მოსპო. უნდა იცოდე, სად ბუდობენ ისინი, რომ სათანადო ზომების მიღებით აარიდო მათ თავი და ავად არ გახდე.

ექ. მღებრიშვილი.



მესკურსიები და გაფრენები.

თარიღი დღე
პირადი მომსახული

ყველაზე საინტერესო ჩვენს საზაფხულო მუშაობაში ჩვენი ექსკურსიები და გაფრენებია. მაგრამ, სამწუხაოდ, ჩვენში ყველა ეს ხშირად უწესრიგოდ, უგვევმოდ და უსარგებლოდ ტარდება. ვაწყობთ რა ექსკურსიას ან გაფრენს, ჩვენ წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ — სად მივივივართ, რა მიზნით, და იქ რას გავაკეთებთ? ჩვენ უნდა გავანაწილოთ მოვალეობანი რგოლებს შორის, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რა წავიდოთ გაფრენზე ან ექსკურსიაზე, გამოვიანგარიშოთ დრო, რომ არ დავიქანცოთ?

საჭიროა ყოველდღე გასვლა 4-5 საათით, დილაბით.

ძალიან დიდი მასიური გასეირნებების მოწყობა პირველ დღეებში არაა მიზან შეწონილი, 50 ბავშიც საქმარისია. მოზრდილ პიონერებთან ერთად ოქტომბრელების წაყვანა არ შეიძლება, გასეირნების ადგილი სერიოზულად უნდა იყოს მოფიქრებუ-

ლი. უნდა ამოირჩეს შედარებით გამოსადევი ადგილი — წყლით, კარგი ჰაერით, ველით, ტყით.

გასეირნებისას უნდა ხდებოდეს შესვენებები, მოწყობილ იქნას თამაშობანი და სხვა.

თუ სოფელზე გავივლით, შეიძლება მისი შესწავლაც.

ზაფხულობით უნდა მოეწყოს აგრეთვე ექსკურსიები, რომელთაც მიზანად არ უნდა დაისახონ მარტო ბუნების მოვლენების შესწავლა და კოლექტივების შეკრება, არამედ მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ რაიონის მეურნეობის გაუმჯობესებაში. პიონერების მიერ ექსკურსიების დროს შეკრებილი მასალები გულმოდგინედ უნდა იქნეს შესწავლილი პიონერების მიერ.

ამხანაგებო! დადგა ზაფხული. ჩაგატაროთ საზაფხულო მუშობა! ყველა პიონერებო — საზაფხულო საქმისაკენ.

ლ.

როგორ ჩატარდა გავშთა საერთაშორისო კვირეული ქ. ტფილიშვილი.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის მზადება გაცხოველებული სახით სწარმოებდა ტფილისის პიონერებში და შეუკავშირებელ ჩავშებში. ისინი მოუთმენლად მოელიან თავის დღესასწაულს.

უკვე 15 მაისიდან ტფილისის ბავშები საზეო მოდ არიან მორთულნი.

18 მარტს, დილას, ტფილისის საქმიან სახეს ულიმოდა პიონერ ბავშთა ათასეული სახეები.

პიონერები იხდიდენ თავის დღესასწაულს და მწყობრი რიგებით, კოლექტივების დროშებით მოძრაობდენ ტფილისის ქუჩებში.

მოძრავ რიგებში მრავალი არაპიონერი, შეუკავშირებელი ბავშია. მათაც აინტერესებთ დაესწრონ და ნახონ თავისი ამხანაგები — პიონერები — სკენაზე.

დილის 11 საათზე პიონერთა რიგები გულმოდგინედ მიეშურებიან დილების ადგილებზე — არმიისა და ფლოტის სახლში, „კატორში“ და მუშათა ახალ კლუბში.

არმიის და ფლოტის წითელ კლუბში უკვე 800 ბავში შეგროვილა. აქ ერთმანეთშია არეული პიონერთა ტანსაცმელები წითელი ყელსახვევებით და შეუკავშირებელ მოსწავლეთა „უფარმ“ ტანსაცმელი. გოგონები და ვაჟები გაცხარებული საუბრობენ და მოუთმენლად მოელიან ზემის დაწყებას.

დიდი აღთროვანება გამოიწვია პიესა „ლენინი და ჩინეთის მუშათა კლასი“; ყველა როლს თვით ბავშები ასრულებდენ. არა ნაკლები აღტაცებით შეხვდენ პიესას პიონერთა ცხოვრებიდან („საზეიმო ფიცი“).

დაუსრულებელ ტაშს იწვევს „პიონერთა აღლუმი“ და პატარა ლურჯხალათიანთა გამოსვლა, და აგრეთვე პიონერთა ფიზკულტურული ჯკუფების თავისუფალი ვარჯიშია.

ნამდვილი ზეიმი იყო პიონერ — პოეტების გამოსვლა თავიანთი ლექსებით, რომელიც მიძღვნილი იყო ბავშთა საერთაშორისო კვირეულისადმი.

დასასრულ, შესრულებულ იქნა ეროვნული ცეკვანი. პიონერთა გუნდმა შეასრულა მრავალი რევოლუციონური სიმღერა და პიონერთა მარში.

ასეთმა შინაარსიანმა დილამ დიღად გაახარა ბავშები. მხიარული სახით, აღტაცებულნი, სჯა-ბასით გამოდიოდენ ისინი თეატრიდან.

ასეთვე აღფრთოვანებით და ზემით ჩატარდა დილა „კატორშიც“ და მუშათა ახალ კლუბშიც.

ბავშების მრავალი წყება გაემგზავრა ამ დღეს ექსკურსიებზე ქალაქს გარეთ. აქაც ისეთივე მხიარულება, დროს გატარება და გართობა იყო.

ეს დღესასწაული ტფილისის ბავშთა დიღი ზემის დღე იყო.

კვირას, 22 მაისს, ტფილისის ქუჩები არახეულებრივად იყო გამოცოცხლებული დოლების ხმაურით და ბავშების ჟივილ ხივილით.

ამ დღეს ტფილისის პიონერებმა და შეუკავშირებელმა ბავშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია ბავშთა საერთაშორისო კვირეულის აღსანიშავად. მათი რიგები მთელი საათების განმავლობაში დაუსრულებელი წრეებით გიმართებოდა ყველა ქუჩებში.



176

ჩვენი ცხოვრება.

(გორის შაზრა.)

დ. ქარელში არსებობს დათიკო კაჭარავას სახელმის კოლექტივი. ის ძერთიანებს 66 ბავშს. მათ შორის 16 ოქტომბრელია და 80 პიონერი.

პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასახლეადოებრივ მუშაობაში, ეხმარებიან ქვრივობ-ლებს და სხვ.

ქარელის კომკავშირი აქამდის პიონერთა ორგანიზაციის სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა, დღეს კი ხელმძღვანელობა თვალსაჩინოა. ამასთანავე წელს კომკავშირმა პიონერთა ორგანიზაციის ფულით დახმარებაც აღმოუჩინა.

პიონერი იყოშვილი.

ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა რ ი ბ ა.

(ქ. ქუთაისი)

მესამე თაობის კომუნისტურად აღზრდის ერთერთი ფორმა არის ჩვენი პიონერ-კოლექტივები, რომელიც უნდა აძლევდეს კომკავშირს ნამდვილ კომუნისტურად აღზრდილ ახალგაზლობას და სწორედ ამიტომ დღეს პიონერ-კოლექტივებს მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული კომკავშირისა, პარტიისა და უშუალოდ დაინტერესებულ დაწესებულებათა მიერ. ამასთანავე თვითეულ პიონერს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული ასეთი მუშაობა ჩვენი ხელისუფლებისა, რომ ყოველი მოთხოვნა შეძლებისდა გვარადიქნეს შესრულებული.

ჩვენი კოლექტივი ჩამოყალიბდა აღმუნებლით პიონერთან 1925 წელს; ის ძერთიანებდა პირველ ხანებში 25 პიონერს და 10 ოქტომბრელს, მაგრამ ენერგიული მუშაობით ჩვენი კოლექტივი გაიზარდა და დღეს ძერთიანებს 65 პიონერს და 30 ოქტომბრელს. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს, კოლექტივი არის დაყოფილი რგოლებად, გვაქვს კავშირი სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მეცდრო კავშირი გვაქვს კომკავშირის უჯრედთან, რომელსაც ვეხმარებით სალამო-წარმოდგენებისა და კამპანიების ჩატარების დროს. აგრეთვე კავშირი გვაქვს პარტიისთან, მაგრამ, სამწუხაოდ, პარტიის წევრი მთელი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნახეთ. იმედია, ამ ნაკლ დას. საქ. ოლქის

სასამართლოს კომუნისტიური ბიურო სათანადო ყურადღებას მიაქცევს. გვაქვს კავშირი წითელ ჯართან, საიდანაც გვესტრებიან ჯარისკაცები და ხანდახან გვიტარებენ საუბრებს წითელი ჯარის ცხოვრებაზე.

აღმუნებლობითი პროფკავშირი, შეძლებისდაგვარად, გვიწევს მატერიალურ დახმარებას; ის დაინტერესებულია ჩვენი კოლექტივის აღორძინებით და საქმიანი მუშაობით. ამ უკანასკნელ ხანებში კავშირის თვითეული წევრი დაინტერესდა კოლექტივის მუშაობით, რაც იმის დამატებიც ხელია, რომ კოლექტივი უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ამშენებლობითი კავშირის წევრთა შვილების ხარჯზე. კავშირს აქვს განზრახული კოლექტივის შეუკერის ტანსაცმელი და უყიდოს საყვირი, რასაც კოლექტივი მოუთმენლად ელის.

იმედია, ეს მოლლოდინი აგვისრულდება. უკანასკნელად არ შემძლია არ აღვინიშნო ერთი ნაკლი ჩვენი კოლექტივისა, რომელიც ნაწილობრივ ხელს უშლის რგოლების მეცადინებას—ეს არის ჩვენი საკუთარი ბინის უქონლობა. დღევანდველ ბინაში ვიმყოფებით კავშირის ადგილკომი, კომკავშირი და ჩვენ, ერთმანეთს ხელს ვუშლით მუშაობის დროს. იმედია, კავშირი მიაქცევს ამ ნაკლს ყურადღებას პიონერი. თ. ჩ.-ძ.

რა ხდება ჩინეთში?

რა არის გომინდანი?

გომინდანის პარტია აერთიანებს ჩინეთის მცხოვრებთა სხვადასხვა ჯგუფებს. მასში შედიან მუშები, გლეხები, წვრილი ბურუუაზია (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.), აკრეთვე თვით მსხვილი ბურუუაზია (ფაბრიკანტები, მსხვილი მემამულები, მსხვილი ვაჭრები და სხვ.).

ჩინეთის მხოვრებთა ამ ჯგუფების ინტერესები სულ სხვადასხვაგვარია: მსხვილ ფაბრიკანტს სურს გაყვლიფოს მუშა, ხოლო უკანასკნელს კი უნდა თავიდან მოიშოროს ფაბრიკანტი, თორემ ისე ცერ გაიუმჯობესებს თავის ცხოვრებას...



ამ რამდენიმე წელის წინად მოსკოვში ჩამოვიდა ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი პეტერი—ამხ. ჩერნიხი.

ამხ. ჩერნიხე და წარმომადგენლობის სხვა მუშაკებზე ამას წინა მოახდინეს თავდასხმა, რომლის დროსაც დატუსაღებულ იქნა რამდენიმე მათვანი.

ამ სურათზე გამოხატულია ამხ. ჩერნიხი თავისი თანამშრომლებით.

მაგრამ არის ისეთი დრო, როდესაც პროლეტარიატისათვის გამოსაღევია განსაზღვრულ მანძილადე გაჰყვეს ბურუუაზიას, თუმცა, რასაკვირველია, ამავე დროს არ ივიწყებს თავის ძირითად ამოცანებს.

რა სურს სამრეწველო ბურუუაზიას.

ჩასუქებულ ჩინელ ფაბრიკანტს, შავი აბრეშუმის ეროვნულ ხალაზი, ატლასის ქუდით თავზე, რომელიც დაჭრის თავისი საკუთარ ავტომობილით, ხშირად დაინახავთ ქალაქის გამოცუცხლებულ სავაჭრო ქუჩაზე. მას თეადს სჭრის და გულს უღონებს ჩინეთის სავაჭროების დარაბებში გამოფენილი უცხოეთის საქონელი. ეს დაწყევლილი უცხოელები თავისი საქონელით ავსებენ ბაზარს. ეს საქონელი უკეთესია ხარისხით და უფრო იაფიცაა, ვიდრე ჩინეთის საქონელი. უცხოეთის კაპიტალისტების ხელში ჩინეთის ფაბრიკები, მაღაროები და სხვ. ამის გამო ჩინელი ბურუუაზია მოკლებულია საშუალებას ისარგებლოს მდიდარი ნედლი მასალით, მოკლებულია საშუალებას განავითაროს თავისი მრეწველობა, მოკლებულია ჩინეთის ბაზარს. ყაველივე ეს უკანასკნელებას იწვევს ჩინეთის ბურუუაზიაში. ის ძლიერ არის დაინტერე-

სებული, როგორმე თავიდან მოიცილოს უცხოელი მოქაშები—კაპიტალისტები—და ხელში ჩაიგდოს თავისი ქვეყნის სიმღიდეზე. მისი სურვილია დაგროვოს კაპიტალი და გამდიდრდეს ჩინეთის მუშების იაფფასიანი სამუშაო ხელით. მას სრულიად არ აინტერესებს უდიდესი არია უღარიბესი და განადგურების გზაზე დამდგარი გლეხობისა. ჩინელ ბურუუაზიას თავისი მიზნების შესრულებაში დიდად უშლიან ხელს უცხოეთის კაპიტალისტები და ამიტომ ის ყოველნაირ ზომის მიმართავს, რომ განდევნოს ისინი ჩინეთიდან.

რისთვის არის საჭირო ერთიანი ფრინტი?

ჩინეთის რევოლუციის პირველ პეტროდში, როდესაც მუშათა და გლეხთა მოძრაობას ფართედ არ ჰქონდა ფრთები გამლილი, ჩინეთის ბურუუაზიაც იღებდა მონაწილეობას რევოლუციონურ საქმეში, მუშების და გლეხების დახმარებით მას სურდა განედევნა ჩინეთიდან უცხოეთის კაპიტალისტები, თავისი მტრები. ის დახმარა ნაციონალურ—რევოლუციონური არმიის შექმნას, იმ არმიის, რომელიც იბრძოდა უცხოეთის კაპიტალისტების და კონტრარევოლუციონური სამხედრო კენერლების (შილიტარისტების) წინააღმდეგ. ის არ ყიდულობდა ინგლისის საქონელს, ის სარგებლობდა თავისი სავაჭრო კავშირებით, რომ ამით ხელი შეეშალა მტრისათვის უკანიდან.

მაგრამ მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავიანთი ორგანიზაციების დაარსების უფლება, გაფიცვის და სიტყვის თავისუფლება და სხვა, ამან კი ხელი შეუწყო მუშათა კლასს და გლეხობას, რომ მათ თავისი ძალების მობილიზაცია ჩატარებინათ. პროფესიონალურ ორგანიზაციებში მილიონზე მეტი პროლეტარი იღმოჩნდა დარაზებული, ხოლო გლეხთა ორგანიზაციებში კი—ორ მილიონზე მეტი.

აქამდე საქმე შემდეგნაირად მიმდინარეობდა: მუშათა კლასი და გლეხობა ერთიანი ფრინტით გამოიდიოდა ჩინეთის ბურუუაზიასთან ერთად ნაციონალურ—ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ბურუუაზიის გამცემლობა.

მაგრამ ახლა რევოლუციის გაფართოება-ზრდით შეშინებული ბურუუაზია გადაჭრით ჩამოშორდა რევოლუციის. ის შეუთანხმდა ევროპის და ამერიკის ბურუუაზიას და მათთან ერთად გამოიდის ჩინეთის მშრომელთა წინააღმდეგ. გამცემთა ხელმძღვანელია გენერალი ჩან-კაი-ში, რომელიც ებრძვის მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს, ატუსაღებს და ხვრეტს ჩინეთის რევოლუციონერებს და სხვა.

მან დასაჯა 20 ჩინელი კომუნისტი, რომლებიც დაატუსაღებს საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს პეტერი. მათ შორის იყო ჩინეთის კომპარტიის დამარსებელი ლი-ტაი-ჩაო.

ასე დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა თავისი და უცხოეთის ბურუუაზიას წინააღმდეგ ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებმა.

გირჩვით ფრინველები.

ჩვენში სასოფლო მეურნეობას ძალიან ზევრი მისდევს, მაგრამ ამათში ყველას ერთნაირი მოსავალი არ მოხდის. რათ ხდება ეს? იმიტომ, რომ ზოგი შევნებულად ეწევა მეურნეობას და მოსავალიც კარგი მოდის, ზოგი კი ვერაფერს იღებს თავისი აშროობიდან, მთულედავად იმისა, რომ ყველაფერმა შეუწყო ხელი, ზაფხულიც ზომიერი იყო, მაგრამ მის ბოსტინს და ხეხილს რაღაც დაესია და სულ გაანადგურა.

აბა, ვნახოთ, ვის მოაქვს ახეთი ზიანი მეურნესთვის და ვინ არის ბოსტნეულს და ხეხილის მტერი.

ბოსტანის და ხეხილის მტერი ძალიან ბეგრია. ჩვენ ვიცით, რომ აუარებელი მწერი არსებობს, რომლებიც აფუჭებენ მოსავალს. ხანდახან ამ მწერების გამო მეურნე ხელს იღებს თავის შოსავალზე, რადგან არ სჯერა, რომ ამ ჭიალუებს ასეთი ზიანის მიყენება შეუძლიათ და არავთარ ზომებს არ იღებს.

კალია, რომელიც გაჩნდება ბოსტანში ან ყანაში, სულ გაანადგურებს მას. აგრეოვე მინდვრის თაგვიც აჩანაგებს ყოველ ნათესს. ჭიალუებიც ძალიან მავნებლები არიან, რომლებიც იკვებებიან ბოსტნეულობით. ვის არ შეუმჩნევა, რომ კომბოსტოს, ჭარხალს ფოთლები ხშირად სულ დაკორტნილი და დაგლეჯილი იქვს. ხელი მატლი ძალიან აფუჭებს ხეხილს.

ასეთი მტერები მეურნეს მილიონობით ჰყავს.

ისინი აქამდის გაანადგურებდენ კიდეც ჩვენს მეურნეობას, რომ ჩვენ არ გვყავდეს მუდმივი დამცველი ლაშქარი. ვნახოთ აბა, ვინ დარაჯობს ჩვენ მოსავალს.

მე მგონი ყველა თქვენგანი მიხვდება, რომ ეს ჩვენი დამცველი ლაშქარი ფრთოსნებია: ჩხართვი, შოშია, ბულბული, ბეღურა, მერცხალი, გულყვითელა, მოლალური, ჭოტი, რომელიც დიდი მტერია მინდვრის თავის, ოფოფი და სხვა.

როდესაც კალია დაიძრის საჭმლის საძგნელად, მოდის შავად, გუნდ-გუნდაც, და ვაი იმ მეურნეს, ვისაც შეესევა! და აი სწორედ მაშინ დაედევნებიან მერცხლები და მუსრს ივლებს კალიებს, თორემ მარტო მემამულე მათთან ვერაფერს გახდება.

აქვე მოგვყავს ერთი ნატურალისტის ანგარიში, რომელმაც გამოიანგარიშა, თუ რამდენი სარგებლობა მოაქვთ ფრთოსნებს ჩვენთვის: ერთი ჭოტი დღე-

ში სპობს ხუთ მინდვრის თაგვს, თვეში 150 ც., ექვს თვეში კი 900. ეს თაგვები რომ მომრავლებ ელიუვნენ, ერთ წელიწადში შეიქნებოდა 11.250 თაგვი, რადგანაც ერთ დედა-თაგვს ზაფხულში ხუთჯერ ეყოლება ხოლმე ხუთ ხუთი წრუწუნა. აქაც გვშელიან ხორცის მჭამელი ფრინველები.

შაშვი სავ წამში ერთხელ აჭმევს თავის შვილებს, და თითო-თითო მწერს მიურანს ყოველ ბარტყებს, მაშასადამე, შაშვი ერთ საათში მიუტანს თავის ბარტყებს ოც მწერს, ესე იგი, ზაფხულის დღეში, როცა დღე 18 საათია, მიუტანს თავის ბარტყებს 260 მწერს; ამნაირად შაშვი ორ კვირის აჭმევს თავის ბარტყებს—მაშ, როგორც გამოანგარიშებით სჩანს, ერთი შაშვი



ორ კვირაში შევჭმევს თავის ბარტყებს 5.040 სხვა-დასხვა მწერს.

ასევე იკვებებიან სხვა ფრინველები.

თუ ერთმა დედა-შაშვმა ამოდენა მტერი მოაურა ჩვენს ბოსტანს და ხეხილს, მაშ ეს აუარებელი ფრინველი რამდენ მავნე ჭიალუას, მატლებს და სხვა მავნე მწერებს მოგვაშორებს!

ახლა ჩვენთვის სრულიად ნათელია, თუ რა სა-ლეგბლობა მოაქვთ ჩვენთვის ფრთოსნებს, მაგრამ უბეჭურებაც იმაშია, რომ მოსახლეობამ არ იკის, თუ რა სარგებლობა მოაქვთ ფრინველებს ბალებისა და მინდვრებისათვის, ბავშები გასართობად შლიან ბუდეებს, ესვრიან ჭვებს, კვერცხებს ამტერევენ. ნამეტნავად ფრინველები ქალაქებში ძლიერ გაჭირვებული არიან, რადგან ქალაქის ბალებში სპობენ ყოველ ბუჩქს და ბეგერ ფუტუროიან ხეებს, სადაც ფრინველები იკეთებენ ბუდეს.

დავიცათ და დავიახლოვოთ ფრთოსნები,—აი რა უნდა იყოს მოზარდი თაობის ლოზუნგი. ამ ლოზუნგის განხორციელებას უნდა შეუდევს პიონერი, მოწაფე და ყველა ბავში.

მედია მუსიკის გენერაცია

მ ა ი ს ი

ღრუბელი გაქრა და ცის კილურზე
მზე გაიშალა სხივთა ბაგითა,
და მას ფოთლები ახლად გაშლილნი
შეხვდენ კანკალით და ძაგძაგითა.

აქეთ კი ხალხმა მორთო კიურა,
გაქრა უფერო, მკრთალი აისი,
პირზე ხალხს ღიმმა გადაუჩინა,
შესძახა: „დადგა ტურფა მაისი“.

ყოველწლიურად გვევლინება ჩვენ ეს მაისი,
თანდათან მჭიდროდ და ძლიერად ჰქებს მისი ხმები,
და კვლავ გვაღვიძებს ჩვენ ზანზარი, ხმაური მისი,
იმის ხმისაგან თართოლდებიან კლდენი და მთები.

დე, ეს ქვეყანა გარდაიქცეს აურზაურად,
ჰანგები იშვას, შეანძროს ეს დედამიწა,

და მტერს მოედოს ჯოჯოხეთის კიურ-ხვაურად,
ჰეი, იყვავდი სამიისოდ, მშობელო მიწა!

პიონერი კ. ლაფერაშვილი.

პიონერის სიმღერა.

მწყობრად მოვუივართ ჩვენ ერთად,
მოეიმღერივართ ნორჩინია,
კომუნიზმისკენ ვისწრაფით
ჩვენ, ნორჩი პიონერია.

წითელი დროშა ჩვენა გვაქვს,
ხელში გვიპყრია მარადა.

ჩვენა გვაქვს, ჩვენი იქნება,
სისხლით ნაღები ძველადა.

წითელი დროშა ჩვენია,
და გამარჯვებაც ჩვენია.

კომუნიზმისკენ ვისწრაფით
ჩვენ, ნორჩი პიონერია.

იროდიონ გომახურელი

მეცნიერება და ტეხნიკა.

ფოტოგრაფიული სურათის საოცარი სისწრაფით გადაღება


უველა, ვინც შეხვდავს ამ სურათს, იტყვის, რომ
იგი რევოლვერის გასროლის შემდეგ არის გადაღე-
ბული.

ნამდვილად კი გადაღებულია გასროლამდის,
როდესაც ტყვია ჯერ კიდევ არ გამოვარდნილა რე-
ვოლვერის ლულიდან. ტყვია დაიძრა მხოლოდ, მაგ-
რამ სანამ ტყვია გამოვარდებოდა, გამოვარდა გავარ-
დარებული გაზი, შემდეგ გაისმა ხვა.

დიდი მუქი წრე რევოლვერის პირის წინ ხმის
ტალღა არის. ჩვენ ვხელავთ ხმას. უფრო პატარა,
მოკრძო წრე გავარვარებული გაზი.

წარმოიდგიერ, რა სისწრაფით არის შესრულე-
ბული ეს საოცარი სურათის გადაღება!

გადაღება საოცარია, მაგრამ გასაოცარია აგრეთ-
ვე გადაღების სისწრაფეც. გადაღებას მოუნდა მხო-
ლოდ $1/0000$ წუთი.



ՀԱՅՈՒՅՏԵՐԸ!



1.

შეუცვალეთ უჯრედებში ასოებს ალაგი ისე, რომ
გამოვიდეს პიონერთა ერთ-ერთი ლოზუნგი.
მანი.

ମାନ୍ଦି

2

ამოცანა.

မြန်မာ ရွှေပြည်တော် သိမ်းချင် ဖြစ်လေမှု မြန်မာ ရွှေပြည်တော် သိမ်းချင် ဖြစ်လေမှု

δ 3 3 ə

შეუცვალეთ უჯრედებში ასოებს ალაგი ისე, რომ გამოგივიდეს პირველი მაისის ერთ-ერთი ლოზუნგი.

გამოდის

1927 წ.

გამოდის

ორკესტრი სუსაზირო ფუნქალიური

← უ რ ნ ა ლ ი →

მოზრდილთათვის

ფ ე ლ ი ჭ ა ღ ი ॥

პირნარი

შურდლი ს. ს. ს. რ. ფელა სერლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უფლები წევ-
რის, ორგანიზაციის უფლები კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის
თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების უალდებულე-
ბაა გამოიწერონ

პირნარი

მიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან.

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 ჰაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე
სართული). „პირნარი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

ელსმენი—23-16

რედაქტორი—სარედაქტო კოლეგია.